მეორე წელიწადი-გამოცემისა

ფასი 7 კაპ.

ოთხშაბათი, 1 თებერვალი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 25 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 25



გაზეთი

„საქართველო“

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:

მთელის წლით—15 მ., 1/2 წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქარ.“ ეღირება 13 მ.—75 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.



გულ-დამწვარი დედა ევა გრიგორის ასული გოჯიაშვილისა, დები: ნინო, ივლიტა, კატო, თამარი, მინო გიორგის ასულნი და ძმა სანდრო გოჯიაშვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 4 თებერვალს, დაბა თიანეთში გადახდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი, მათის ძვირფას და დაუვიწყარ

არჩილ გიორგის ძე

გოჯიაშვილის

სულის მოსახსენებლად.

(1—504—1)



ქუთაისის

მიხეილის სათავად-აზნაურო

სადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე-80 მუხლის თანახმად

საარჩევნო კრებები

ხსენებულ ბანკის მსესხებელთა

დანიშნულია ქალ. ქუთაისში, ბანკის სადგომში: პირველ რიგის მსესხებელთათვის 25, მეორე რიგისა—26 და მესამისა—28 თებერვალს ამა 1917 წელს, დილის 10 საათზე. იმავე წესდების მე-84 მუხლის შენიშვნის თანახმად, საარჩევნო კრებები კანონიერად ჩაითვლება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს.

(3—552—2)



ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის ხაზაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9 1/2-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება



გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

ბროვზოროვის ახმლიდიანისა



დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.



ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.



ვასწავლი

ქართულ სიმღერა-გალობას

და

ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის.

მიღება და ჩაწერა

კავსაძესთან

მისამართი: ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესია.

სამშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6—9 ს.-დე.



ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.



ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ტელეფონი № 11—82.



ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)



ექიმი

პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.



ქ. თბილისი.

საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზი.




2 თებერვალი 1917 წ.

დიდი მხატვრული საღამო—ახალ ხელოვნებისა

I. პაოლო იაშვილი

წარმოსთქვამს:

„ცისფერი ყანწები—ჩვენი ახალი აღთქმა“

შინაარსი:

სიტყვა—ხელოვნებას. ხელოვნება წარსულში და დღეს. მიზანი ხელოვნებისა. ახლის მოვლენა და ყოფილის დანიშნულება. სიმბოლიზმი, მარადი საფუძველი ხელოვნებისა. საფრანგეთის სიმბოლიზმი და ბრწყინვალე თავადები. სიმბოლისტები ბელგიაში. სიმბოლიზმი, როგორც სკოლა და სიმბოლიზმი, როგორც აუცილებლობა. მხედარნი სიმბოლიზმისა რუსეთში. „ცისფერი ყანწების“ მოვლენა. კრიტიკა და ხალხი. რა სთქვა თ-დმა კიტა აბაშიძემ? გრ. რობაქიძე. მხატვარი და საზოგადოება. ფუტურიზმი. როგორ ესმით ჩვენში ფუტურიზმი. ფუტურიზმი და „ცისფერი ყანწები“. იდუმალება პოეზიის და „ლექსის“ გრძნეულება. ფორმა და მუსიკა. გზა არსებული და გზა სასურველი. ხელოვნება მარადმი. ჩვენ მომავალში.

II. ვალერიან გაფრინდაშვილის

სიტყვა:

სტეფან მალარმე—თეთრი ოცნება.

III. ლექსთა თქმა.

1. ვალერიან გაფრინდაშვილი: „ძაღლის სიმღერა“, „სხვანაირი ტრფობა“, „მისტიური მარულა“, „არლანი“ და სხვ.
3. პაოლო იაშვილი: „წითელი ხარი“, ფარშავანგები ქალაქში“, „ჰლექიანი მისალმება ზამთარს“, „სონეტი ორსართულიანი“, სონეტი საქართველოს“ და სხვ.
4. ნიკოლოზ ნადირაძე: ლექსები წიგნიდან—„ავზნიანი ქალაქი“.
5. არ. ჰუმბაძე: „ლირიკული პოემები“.
6. გრ. ჯაფარი: „თეთრი ლექსები“.
7. ლელი ჯაფარიძე: „წამების ქმარი“, „დღესასწაულზედ“, „თეთრ ქუჩებში“, „ორსული მზე“, ლექსები რკალიდან: „ტირილი მთვარისთვის“, „ჩემი დაბადება“ და სხვ.

IV.

ბოდლერის, ვერლენის, მალარმეს, რემბოს, როლინის, კორბიერის, ვერჰარნის, უაილდის, ბალმონტის, ბლოკის, ანდრეი ბელლის ლექსთა საკუთარ თარგმანებს და გრ. რობაქიძის, ტიტე ტაბიძის, ელენე დარიანის ლექსებს წარმოსთქვამენ:

ვალ. გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ნიკოლოზ ნადირაძე, გრ. ჯაფარი, ლელი ჯაფარიძე.

საღამო გაიხსნება 8 საათსა და 10 წუთზე.

ბილეთები 1 მან.—6 მან. იყიდება ქართულ საჩაიეში.



საიმპერატორო სამუსიკო სკოლის დარბაზი (გრიბოედოვის ქ. № 8)

სამშაბათს, 7 თებერვალი. ორი მოხსენება,

I

გერონტი ქიქოძე:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი“

II

ი. გრიშაშვილი:

„საიათნოვა, როგორც მეფე ერეკლეს კარის მგოსანი“

დასაწყისი საღამოს სწორედ 8 საათსა და 15 წუთზე. ადგილების ფასი 2 მ. 50 კ.-დან 50 კ-მდე. ბილეთები ამთავითვე იყიდება საჩაიე „ძმურ-ნუგეშში“

(7—554—1)



ქ. თბილისში დაარსდა

მელნის ქარხანა

„ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,

ალიზარინის ფერისას

ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.

მელანი პირის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება

ადგილობრივ თუ გაგზავნით.

საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

(თ.—228—თ.)



„სავაჭრო სახლი“ (საწყობი)

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და

ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

ისყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.

(101—წ.)



მოიკითხეთ ყველგან




გ. ლეონიძის

რედაქტორობით

„საფირონი“ ისყიდება:

„საქართველოს“ რედაქციის კონტორაში, ახალ კლუბის შესავალში—სვიმონას კიოსკში, „ცოდნა“-ს მაღაზიაში, ქ. შ. წ.-კ. საზ. მაღაზიაში და ზოგიერთ მეგაზეთეებთან, პროვინციაში დაგზავნილია ცნობილ აგენტებთან.

ფასი 40 კაპ.


## შრომის კულტურა

ძველთაგანვე შეუმჩნევიათ, რომ სიზარმაცე ყოველგვარ ბოროტების ბუდეა. ჩვენი დროის სასამართლოთა მატიანე ამას ხომ სავსებით ადასტურებს. სხვა და სხვა ბოროტებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეთ, უმთავრესად, საზოგადოების ის წრე იძლევა, რომელშიაც უსაქმურობას მტკიცედ აქვს მოდგმული ფეხი.

ადამიანი, რომელიც ცხოვრებისთვის ყოველგვარ სალსარსა და მასთან ერთად შრომა-ჯაფის უნარსაცაა მოკლებული, ავკაცობისთვის კარგს მასალას წარმოადგენს. მას ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, თუ სხვა ასეთი ბოროტების ჩადენა უფრო ეადვილება, ვინემ მყუდრო და მშვიდობიანი შრომა. მაგრამ ასეთს ბოროტებას მხოლოდ უსახსრობის მიზეზითაც არ სჩადიან. საზოგადოების უმაღლეს წრეებშიაც ხშირად სიმდიდრესა და ფუფუნებასთან ერთად ბოროტებაც ჰბუდობს. აქ დავდასხმისა და გაძარცვის მოწყობას უკვე სიღარიბე და გასაჭირი არ უდევს სარჩულად. ის ერთგვარი გასართობია, სპორტი, უმთავრესად უსაქმურ ცხოვრებისაგან წარმოშობილი. საზოგადოების ეს ორი, ქონებრივად უმდაბლესი და უმაღლესი კიდე, გვაწვდის ბოროტმოქმედთა უდიდეს ნაწილს. ჯაფას გადაჩვეული, მშიერი მოხეტიალე და მუქთა-ხორობაში აღზრდილი, რომელიც გასართობად სახიფათო საქმეში ძალუმ განცდას ეძებს, ერთგვარად მადლიანი ნიადაგია დანაშაულისა და ბოროტებისათვის.

სტატისტიკამ ეს სავსებით დაგვიმტკიცა და ამით აიხსნება, რომ ზოგიერთ ქვეყნების კანონმდებლობა სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრების ნებას არ აძლევს იმათ, ვისაც არსებობისთვის სალსარი არ მოეპოვება და ან რაიმე შრომას არ ეწევა.

მაგრამ ასეთი ზომა სავსებით მიზანს ვერ აღწევს და ყველა დაწინაურებულ ერებს მოეპოება საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი არამზადათა და მუქთახორათა, რომელნიც ყოველგვარ შრომას გაურბიან და ბოროტმოქმედებით უნდათ თავი ისაზრდონ.

ასეთის ვითარების წინაამდეგ უფრო რთული საზოგადოებრივი რეფორმები თუ გამოიღებს სასურველ ნაყოფს. უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო უნდა სცდილობდეს, რომ შეუქმნას საზოგადოებას კარგი პირობები ყოველგვარ ეკონომიური საქმიანობისათვის. ადამიანის ბუნება მრავალფეროვანია და მიწადმოქმედება, ან რაიმე ხელოსნობა ყველას ვერ მიიზიდავს. მხოლოდ იქ, სადაც ეკონომიურ საქმიანობისა და კულტურულ მუშაობის ყოველგვარი დარგი განვითარებასა და აყვავებას განიცდის, ყველას ეძლევა საშუალება თავის ნიჭისა და ბუნების შესაფერისი შრომა გასწიოს. აქ ზოგი მეურნე იქნება, ზოგი ვაჭარი და მრეწველი და ზოგი კიდევ მასწავლებელი, ინჟინერი, თუ მხატვარი და მგოსანი. ისეთს ქვეყნებში კი, სადაც, მაგალითად, ჩვენში, ცხოვრება ერთფეროვანი და მიდუნებულია და არ არის აღმოცენებული მეურნეობისა, აღებ-მიცემობისა და ხელოსნობის მრავალგვარი საქმიანობა, საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ პოულობს თავის ბუნების შესაფერ შრომას და თანთანობით უსაქმურთა და პარაზიტთა რიცხვში ექცევა.

საღი და გონიერია ის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც თვით ხალხის თაოსნობასა და შემოქმედებას არ უცდის და თვით ამრავალფეროვნებს საზოგადოებრივ ცხოვრებას ახალის და ხალხისთვის უცნობ ხელობათა გადმონერგვითა და გავრცელებით. ამით სახელმწიფო ცხოვრებას უახლოვებს იმ იდეალურ მდგომარეობას, როდესაც საზოგადოების ყოველი წევრი მოქმედობს და მოძრაობს რომელსამე ასპარეზზე, მით რაიმე ღირებულებას ჰქმნის და საზოგადოებას სარჩენელ ტვირთად არ აწევს.

ჩვენს ცხოვრებას, უწინარეს ყოვლისა, ასეთი მზრუნველობა და პოლიტიკა ესაჭიროება. ჩვენ რომ რაიმე სტატისტიკა მოგვეპოვებოდეს ეკონომიური ცხოვრებისა, უთუოდ ნათლად ვნახავთ, რომ ქართულ საზოგადოებას მეტად მრავალ-რიცხოვანი, საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის სრულიად გამოუსადეგარი და მისი სარჩენელი ლაშქარი ჰყავს. საზოგადოების მშრომელი ნაწილი ამათს გამოკვებას უნდება და ამით აიხსნება, რომ ჩვენ ეროვნულ სიმდიდრესა და დოვლათს ჭერ ვაგროვებთ, და ეს უკანასკნელი კი პირდაპირი მიზეზია იმისა, რომ ჩვენი თაობა ვერც ხელოვნებისა და ვერც შემოქმედების სხვა სფეროებში დიდს რასმე ვერ ქმნის და მხოლოდ წინაპართაგან აგებულ ძეგლებით მოაქვს თავი.

შრომა ადამიანს ფიზიკურადაც აჯანსაღებს. სოფლის მეურნენი, რომელნიც ხშირად მძიმესა და დაუცხრომელ შრომას ეწევიან, საზოგადოების ყველაზე უფრო საღ ნაწილს წარმოადგენენ. სიცოცხლეს მოძრაობა წარმოშობს და ადამიანთა არსებობისთვის კუნთების ვარჯიშობის მნიშვნელობა ძველთაგანვე შეგნებული ჰქონდათ კულტურულ ერებს. ვინც ფიზიკურ შრომას არ ეწევა, სხვა და სხვა გვარი სპორტით სცდილობს სხეულის ამოძ-

რავებას. ასეთი ვარჯიშობები ძველად ჩვენშიაც ფრიად განვითარებული იყო და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გადავარდა.

ქართველი, როგორც აღმოსავლეთის შვილი, ბუნებით ზანტია. ის მუდმივ ჯაფას ვერ უძლებს. ხანგრძლივი და მუყაითი საქმიანობა ჩვენში იშვიათი მოვლენაა ცხოვრების ყოველს ასპარეზზე. საზოგადოებრივი ზნეობაც შეეგუა ამ მოვლენას და ქართული მორალი სრულიადაც არ აღიარებს სავალდებულო წესად, რომ ყოველი წევრი საზოგადოებისა ცხოვრებაში რაიმე დანიშნულებას ემსახურებოდეს და მით თავის არსებობას ამართლებდეს. ჩვენში უჭირდებათ შრომითა, კანონიერ საქმიანობითა, თუ ბოროტმოქმედობით შეძენილი კეთილდღეობა ერთი მეორესაგან გაარჩიონ.

დახარჯულ ენერგიასაც გონიერი გამოყენება უნდა და, ჩვენდა სავალალოთ, ქართული შრომა აქაც ნაკლებად ნაყოფიერია. მას აკლია მუყაითობა, ბეჯითობა, გამძლეობა. მუყაითობა კი, როგორც ერთი მეცნიერი ამბობს, ადამიანის ერთად-ერთი და უპირველესი ნიჭია. ევროპის მოწინავე ერების—ინგლისელებისა, თუ გერმანელების ეროვნული დიდება და ძლიერება სწორედ ამ ნიჭის შექმნილია. არა შექსპირის, გიოტესა თუ ბისმარკის გენიოსობამ აღმოაცენა ამ ერთა ყოველმხრივი კეთილდღეობა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულმა ხალხის გონიერ შრომისა და ჯაფის კულტურამ. ამ ხალხმა მწირ და უნაყოფო ქვეყნებში დააგროვა აუარებელი სიმდიდრე და შექმნა ერის ქონებრივი და სულიერი კეთილდღეობა. მაშინ, როდესაც მრავალი სხვა ერი ნაყოფიერსა და უხვ ქვეყნებში ყოველგვარ სიღარიბესა და არარაობას განიცდის.

შრომის კულტურის განმტკიცება ჩვენის ეროვნული ცხოვრებისათვის უპირველესი საზრუნავია. აქედან უნდა იწყებოდეს განახლება და აღორძინება ჩვენის ვითარებისა.

ა. ახათიანი.

# პრესის მაგიერ

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ გუშინდელ მეთაურში შეეხო კავკასიის ეროვნებათა ურთიერთობას. ამ ერთ კვირაში მან ეს მეორეთ წამოაყენა ეგ საკითხი. რედაქცია ცდილობს ეროვნებათა დამოკიდებულების საფუძველი იმ ძველი პრინციპების დოგმების თანახმად გამოარკვიოს, რომელთა სრული უსუსურობა ცხოვრებამ მრავალგზით დაამტკიცა, ეს უბრალო ატავიზმის ბრალია. თორემ რა ფასი უნდა ჰქონდეს რომის პაპისებურ დეკლარაციას: „მხოლოდ სხვა და სხვა ერთა დემოკრატიას გასაყოფი არაფერი აქვს და არც ექნებაო“. ამის თქმა მხოლოდ „ბედნიერებს“ შეუძლიათ. დღეს ბალღმაც კი იცის, რომ სხვა და სხვა ერთა დემოკრატიები ერთმანეთს შეუბრალებლად ჟლეტენ. სჩანს, ზოგს რაღაცა აქვს დასაცავი, ზოგს კიდევ რაღაც აქვს შესაძენი; როგორც ეტყობა „თანამედროვე აზრი“ არამც თუ ისტორიას, არამედ ცოცხალ ფაქტებსაც არ უწევს ანგარიშს.

გაზეთი მოუთხრობს თავის მკითხველს ქართველ-თათართა ნაციონალისტების „რეაქციონურ-ნაციონალისტურ ბლოკის“ (!) ისტორიას, რომელი ბლოკიც თურმე სომხების სამტროდ ყოფილა შექმნილი. გაზეთი აღნიშნავს, თუ რა ზიანი მოიტანა, მისის აზრით, ამ ბლოკმა ერობის საკითხის გამო პროგრესიული რუსეთის ამხედრებით ჩვენს წინაამდეგ და განაგრძობს:

„უკანასკნელ დროს ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ ბლოკი სრულიად უნიადაგოა. მას ანტისომხური პოლიტიკა ასულდგმულებს. თათარი და ქართველი ნაციონალისტები მართლაც სომხის ნაციონალისტებს ეჯახებიან. მარა არსებობს ისეთი კითხვები, რომელშიაც ქართველ-თათართა გაბატონებულ წრეების ინტერესებიც ნსხვავდება. ეს ნათლად გამოჩნდა უკანასკნელ დღეებში“.

ის კონკრეტი საკითხი, რომელიც წერილის ავტორს აქვს სახეში, ქართველ-თათართა გაბატონებულ წრეების საკითხი არ გახლავსთ. იგი უწოდებრივ და ზეკლასიური საკითხია, წმინდა ეროვნული. ქართველმა ნაციონალისტებმა თათრების პრეტენზიები შეუწყნარებლად იცნეს. ეს ნაც ონალისტები არ-არსებულ ბლოკის დარღვევას კი არა, ნამდვილად დადებულ კავშირის დარღვევასაც არ დაერიდებიან, თუ ქვეყნისა და ერის სწორედ გაგებული ინტერესი ამას მოითხოვს. ნაციონალისტების მიზანი ყოველთვის ერთი და იგივე რჩება, ერის ინტერესის დაცვა. ბლოკის შეკვრაც და დარღვევაც ეროვნული ინტერესის კარნახით ხდება. გონიერთა შორის ბლოკი მიზნად არასოდეს ყოფილა დასახული.

მაგრამ აქ საინტერესოა შემდეგი გარემოება. თათრების პრეტენზიებს „თანამედროვე აზრის“ სოციალისტებიც ნაციონალისტებზე არა ნაკლებ ცხარედ აღუდგნენ წინ. ნაციონალისტებიცა და „თანამ. აზრის“ სოციალისტებიც აქ ერთ ენაზედ ლაპარაკობდნენ. სჩანს, ყოფილა რაღაც საერთო, რომელსაც საჭიროების დროს ყველა შეუერთებია. ეს საერთო რაღაც ქართულ-კულტურისა და ეროვნების პრობლემა გახლდათ სამჰმადიანო საქართველოში. და რამდენადაც „თანამ. აზრის“ სოციალისტები ქართველ დემოკრატიას წარმოადგნენ, იმდენად ამ სოციალისტებმა, ეს საკითხი მათ და სასახელოდ დააცვეს კიდეც ქართველ ნაციონალისტებთან ერთად.

და დღეს ისე სწერენ, თითქოს მათაც იმავე პრინციპით არ ეხელმძღვანელოთ ამ საკითხში, რა პრინციპითაც ნაციონალისტები ხელმძღვანელობდნენ. ნუ თუ მარტო საჯაროდ თქმაა სათაკილო. თუ ეროვნული ინტერესის ძალით ჩვენი სოციალისტები ნაციონალისტებთან ერთად „ბლოკის“ დარღვევას არ დაერიდნენ, სხვა დროსა და პირობებში სხვა ბლოკის შეკვრასაც არ უნდა დაერიდონ იმავე ეროვნული ინტერესის ძალით. ეს ყველასთვის სავალდებულო ტაქტიკაა და ვინც ამას ყბა-აღებით ჰგმობს, ის ხშირად თვის თავსაც გაიმათრახებს.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

იტალეთის ასპარეზზე მოქმედება გაცხოველდა. გუშინდელ ოფიციალ დეპეშათა ცნობით, მოპირდაპირეს მრავალ-რიცხოვან რაზმებით იერიში მიაქვს სენტა-კატრინის ფერდობებზე. იტალიელთ მხოლოდ ალაგ-ალაგ მოუგერებიათ იერიშები. ეს ბრძოლა დასაწყისია მთავარ ოპერაციისა, თუ ჩვეულებრივ დემონსტრაციასთანა გვაქვს საქმე,—ჯერ-ჯერობით ამისი თქმა, რასაკვირველია, ძნელია, თუმცა იტალეთის ასპარეზი საზოგადოდ უფრო ადვილად შეიძლება გადაიქცეს მთავარ გენერალურ ბრძოლის ველად, ვიდრე დასავლეთის ასპარეზი, როგორც ბევრი სამხედრო მიმომხილველი ამას ამტკიცებს და ამტკიცებდა. რუსეთი რომ არა, ჯერი უფრო იტალიაზე მიდგებოდა. ამასთანვე იტალეთის ასპარეზზე მოქმედება მოპირდაპირისათვის ხელსაყრელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამინდი მას ხელს უწყობს. რაკი ზამთარში რუსეთის წინაამდეგ გერმანეთმა ოპერაცია ვერ აწარმოვა, მაშინ, თავის-თავად ცხადია, ზაფხულამდი იგი უბრალო პოზიციონურ ბრძოლით უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან გაზაფხულობით რუსეთის მიწა-წყალზე ომის წარმოება პირდაპირ შეუძლებელი ხდება უგზოობისა გამო. სულ სხვაა იტალეთი. როგორც მთიანი მიდამო, გაზაფხულობით აქ უფრო ხელსაყრელია ბრძოლის წარმოება, რადგან გაუვალი ჭაობები და ლაფები ხელს ვერ შეუშლიან ჯარების გადაყვან-გადმოყვანის დროს. თუ გერმანეთი, მართლაც, იტალეთის ასპარეზზე დაიწყებს აქტიურ ოპერაციის წარმოებას, ეს მით უფრო იქნება ხელსაყრელი მისთვის, რომ რუსეთის სამხედრო შტაბი მაგრე რიგად ვეღარ მოეშველება იტალეთს, რადგან ამინდი მასაც აგრეთვე დიდად ხელს შეუშლის. ნურც იმას დავივიწყებთ, თუ რა დიდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს გერმანეთის გამარჯვებას იტალეთის ასპარეზზე. გარდა იმისა, რომ საუკეთესო ნაწილს იტალეთისას, სახელდობრ, ლომბარდიას, ხელში ჩაიგდებს, თვით საფრანგეთისაკენ სამხრეთით გზა ეხსნება. ასეთი რთული და საპასუხისმგებლო ოპერაციის წარმოება, გერმანეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ რუსეთის ჯარი, იძულებული იქნება ალაგიდან ვერ დაიძრას და უამინდობისა გამო უმოქმედოთ იდგეს თავის სიმაგრეებზე. ეს მოხდება თებერვალსა და მაისს შორის, როცა რუსეთის გაზაფხული მთელ ბრძოლის ველზე მიმოსვლის საშუალებას მოსპობს.

X.

## ომის დეპეშები

31 იანვარი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სმორგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბოროვოეი გლინის მიდამოებში, ჩვენმა მზვერავებმა შეუმჩნევლად დასწყვიტეს მავთულების ხლართი და იერიშის დროს ხელთ იგდეს მოდარაჯენი და ტყვიისმფრქვეველი. მოპირდაპირემ თოვლის ბუქით ისარგებლა და ერთი ბატალიონით შემოგვიტია კისელინის ჩრდილოეთით 10 ვერსზე, მიხაილოვკის ჩრდილოეთ მიდამოში. აქ ერთი როტის იერიში მოვიგერიეთ, მტრის მეორე როტამ კი ჩვენი თხრილებში შემოჭრა მოასწრო, მაგრამ მარქაფა ჯარის დახმარებით გავდევნეთ და საქმე გამოვასწორეთ. გალიჩის სამხრეთით მოპირდაპირის 4 როტა მოყინულ დნესტრზე გადმოვიდა და იერიში მოიტანა ჩვენს სადარაჯოზე. თუმცა სადარაჯოდან მედგარი სროლა ავუტეხეთ, მაგრამ მოპირდაპირემ მაინც შესძლო ჩვენი უკან დახევა, რის შემდეგაც სამაგიერო იერიშით კვლავ უკუ ვაგდეთ და ჩვენს სადარაჯოებზე წინანდელი მდგომარეობა აღვადგინეთ.

კარპატებში ადგილ-ადგილ თოვლის ბუქია.

რუმინეთის ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

### იტალია.

29 იანვარი.

**რომი.** იტალიის მთავარ ბანაკის ოფიც. ცნობა. ტრენტინოს ბრძოლის ხაზზე დრო-გამოშვებით ზარბაზნების სროლა იყო. ონდინოს მთასთან ჩვენმა ზარბაზნებმა ზარბაზნის ყუმბარები აწვიმეს მტრის რაზმებს. პაზუბიოს ჩრდილო ფერდობებზე და იულის ალპების ბრძოლის ხაზზე მტრის ზარბაზნები მედგრად გვიშენდნენ ყუმბარებს. გორიცის აღმოსავლეთით, 27 იანვარს ღამე, სანგრების მძიმე ზარბაზნების მედგარ დაშენის შემდეგ, მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა სანტა-კატრინას დასავლეთ ფერდობებზე, სან-მარკოს ჩრდილო-დასავლეთით, გორიცა - დორნბერგის რკინის გზის ჩრდილოეთით. ცხარე ბრძოლის შემდეგ მოპირდაპირე თითქმის ყველგან მოვიგერიეთ. მხოლოდ ბრძოლის პირის მცირე ნაწილზე ჯერ ვერ გაგვიდევნია იგი, თუმცა განუწყვეტლივ ვუშენთ თხრილების მძიმე ზარბაზნებს. ხელთ ვიგდეთ 70 ტყვე, მათ შორის ერთი აფიცერი.

ალბანეთში მტრის 2 მზვერავი ჰიდროპლანი ჩამოვაგდეთ სასენის მიდამოებში. ერთი საფრენი დავატყვევეთ, მეორე ზღვაში ჩაიძირა.

### საფრანგეთი.

31 იანვარი.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. ვერდენის მახლობლად მტრის საფრენი ჩამოვაგდეთ. მოპირდაპირის მფრინავმა ნანსსა და პონსენ-ვენსენს ყუმბარები დაუშინა, თუმცა ზიანი არ მიუყენებია. გუშინ გერმანელების 2 საფრენი ჩამოვაგდეთ. 29 იანვარს, ღამე, ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს საარის ველში, გაგონდაჯის, ეშე'ს და მეზერლე-შეტს, ასონოვილის სადგურის მახლობლად, სადაც ცეცხლი გავუჩინეთ.

**პარიზი.** დღის ოფიციალი ცნობა. მერი-ო-ბაკის მიდამოებში მარჯვეთ ავაფეთქეთ ორი ნაღმი „108“ მაღლობთან. არგონებში ორი მოულოდნელი იერიში მივიტანეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ.

### საბერძნეთი.

31 იანვარი.

**ათენა.** (გზაშია დაგვიანებული) შეერთებულ შტატების დესპანმა საბერძნეთის მთავრობას ნოტა გადასცა, რომლითაც სთხოვენ მხარი დაუჭიროს ამერიკის გამოსვლას და პასუხი აცნობოს თუ რა გზას დაადგება საბერძნეთი.

**ათენა.** (გზაშია დაგვიანებული). დღეს საბერძნეთის მთავრობამ შტატების დესპანს პასუხი გადასცა, სადაც ნათქვამია: ზავის ჩამოსაგდებად საბერძნეთის მთავრობა ყოველ ნაბიჯს თანაგრძნობით შეეგებება, მაგრამ შტატებს უნდა ესმოდეთ საბერძნეთის განსაკუთრებული მდგომარეობა. თუმცა იგი ნეიტრალი სახელმწიფოა, მაგრამ არ შეუძლიან არსებულ გარემოების შესაფერი მიდრეკილებაც კი გამოიჩინოს; მისი საზრუნავი უფრო ეროვნულ თავდაცვისაკენ არის მიმართული.

### ინგლისი.

31 იანვარი.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ნიუიორკიდან ატყობინებენ: თუმცა აქ ჯერ არ გამომჟღავნებულა, რომ გერმანეთმა შეერთებულ შტატებს წინადადება მისცა, თვისი აზრი გამოსთქვას ომის შესაჩერებლად მისაღებ ზომების თაობაზე, მაგრამ არც უარსჰყოფენ, რომ ასეთი წინადადება გერმანეთს მიუცია შტატებისათვის, მხოლოდ ჯერ არ ვიცით, ნოტის სახით თუ სიტყვიერად.

### ნორვეგია

31 იანვარი.

**ქრისტიანია.** სათბობ მასალის დასაზოგად მომავალ კვირიდან შეჩერდება ჩქარი მატარებლების მიმოსვლა როგორც ნორვეგიაში, ისე მეზობელ სახელმწიფოებს შუა მიმავალი.

### შეთქმულობა პეტროგრადში

**პეტროგრადი.** 29 იანვარი. ოფიციალი ცნობა. 1915 წელს გიორგობისთვეში, პეტროგრადის მთავარ სამხედრო სამრეწველო კომიტეტთან დაარსდა პეტროგრადის მუშათა რწმუნებულების ჯგუფი; აღმოჩნდა, რომ ეს ჯგუფი რევოლუციონერთა პარტიას ეკუთვნოდა. მათ თავიდანვე კომიტეტში განსაკუთრებული მდგომარეობა შეჰქმნეს და იმის მაგიერ, რომ თავისი ძალღონე თავდაცვის საქმისათვის მოეხმარებინათ, ცენტრალ ორგანიზაციასთან ჰქონდათ კავშირი რუსეთის იმპერიაში მუშათა მოძრაობის განსახორციელებლად. მოძრაობის მიზანი იყო რუსეთის გარდაქმნა სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკად. როგორც ეხლა გამოირკვა, მუშათა მასსის მომზადება თანდათანობით სწარმოებდა, მაგრამ ისე ფარულად, რომ თუმცა საეჭვო ბევრი რამ იყო, მაგრამ მხოლოდ კერძო რამ და უმნიშვნელო. ნამდვილი ცნობები გვქონდა, რომ უკანასკნელ დროს შეთქმულების მონაწილენი უფრო თამამად მოქმედებდნენ, რის გამოც ეჭვი აღარ იყო მათი მოქმედების საშიშ მიდრეკილებაში. 27 იანვარს, ღამე, პეტროგრადში ზემო აღნიშნულ ჯგუფის ბინები გასჩხრიკეს; აგრეთვე გასჩხრიკეს სამ-

# როდემდის

(პატარა ნაგლეჯი ქართლის ცხოვრების სურათიხა)

I

— სწორეთ რო სასწაულია!.. აი დიდება შენთვის, ღმერთო!.. გამარჯვება თქვენი... გაგონილა ნატვრის ასეთი ასრულება!..

— ვინც ნოვიდეს გაუმარჯოს... სიმართლე გითხრა, ძლიერ მიამა შენი ნახვა... წარმოიდგინე, რათა ხანია, ხმა არ ამომიღია... სხვა... როგორ გიკითხოთ?..

— ეჰ! მე რა მიჭირს... შენ ის მითხარ, საიდან და საით!? რას აფრატუნებ ამ გორის ვოგზალზე.

— ქართლი შემოვიარე და ახლა კი თბილისს... დროცაა, ღვთის წინაშე, თორე გამოვჩერჩეტდი...

— მხოლოდ საზამთროთ, რა თქმა უნდა... ღვთის გულისთვის, ერთი მიამბე, გამიზიარე, რა იმედით მოდიხარ? ნეტა თუ რას ჰფიქრობს და ან რა გარკვეულ პროგრამმას ადგია საქართველოს დედა ბურჯი, ჩვენი ქართლი?...

— შენ რომელ ქართლს მეკითხები... ნეტა ვიცოდე! ერთი ხაქმე გამოგლევია!.. სხვა რა ამბებია? სამი თვეა, სოფლიდან სოფელს დავიარები,—გაზეთიც კი არ წამიკითხავს, გამოვყრუვდი.. რა ფაზაშია, ნეტა, ომის ვითარება...

— რა დროს ფაზებია... მე ეგ არ მეინტერესება.. ომისა ჯერ მეექვსე მოქმედება სწარმოობს, თქვენ ის მიამბეთ, ეროვნულად, კულტურულად როგორ ვითარდება ჩვენი ქართლი. ამიხსენით, რა თვალსაზრისით, რა პოლიტიკით უცქერის სოფლის ინტელიგენცია ამ ისტორიულ ომის მწვავე მომენტს?..

— მერე და სად არის ეგ თქვენი ქებული, ე მაგრაე განვითარებული, გაჩარხული ინტელიგენცია!.. ნეტავ, თუ ვის გულისხმობთ, საინტერესოა, ვიცოდეთ?..

— რას ბრძანებთ... როგორ თუ ვის—მღვდელი, ერი, თავადი და აზნაური...

— არც თავად-აზნაურობა და აღარც ერი და ღვდელი... თქვენ რა.. იქნება გგონიათ, ქართლი რაიმე ეროვნულ, კულტურულ ძალას შეადგენდეს!.. აი შენც არ მომიკვდე!..

— არ გეთანხმებით, ბატონო ჩემო, აბა რას ბრძანებთ! მაშ თქვენის აზრით, მთელი გორის მაზრა, 200,000 სული ქართველი ამოვარდა, გადაგვარდა, გამოიფიტა ქართველის ძლიერი სული?.. მაშ ვინაა, რას განიცდის, საითკენ გადუხრია ხალხის ტენდენციას —ოსობს, რუსობს, სომხობს, თათრობს, ვის კარზედ ბლავის?!.

— ჰო და სავალალოც ეგ არის, ჩემო ბატონო, რომ აღარც ქართველია, არცა რუსობს და არც თუ სომხობს და თუ სიმართლეს მათქმევინებ, მისთვის არც ეროვნული თავმოყვარეობა, არც ეროვნული საკითხი არსებობს. ხოლო დღევანდელ მომენტს, მსოფლიო ომის სიმწვავე, ქართლიც, რაღა თქმა უნდა, იმდენადვე განიცდის, რამდენადაც მთელი შიდა რუსეთის ხალხი სიცოცხლეს სწირავს და ქონებას არ ზოგავს. ხოლო, რაც შეეხება ეროვნულ პოლიტიკას, ამ მცნებასთან ძრიელ მწყრალად გახლავსთ, სწორე მოგახსენოთ,—გეფიცებით, 30 წელიწადია ქართლში დავხეტიალობ ყოველ ზაფხულს, ქართლს კარგად ვიცნობ, ცოლიც კი ქართლელი მყავს და... გულმტკივნეულად უნდა აღვიარო, რომ ასეთი აპატიით მოცული ხალხი არც გამიგონია და არც მინახავს. სრული ინდიფერენტიზმია ქართლში გამეფებული, მეტადრე ამ ათიოდ წლის განმავლობაში. მოძრაობის შემდეგ რაღაც ნაირად გარინდებულია. მართალია, პრიმიტიულად კუჭს კი იკმაყოფილებს და ისე კი ზნეობრივი სადგისი რო უტაკო ცვარი სისხლი არ გადმოუვა.

— იცით, რა მოგახსენოთ, თქვენ, ჩემო ბატონო, უკიდურესი პესიმისტი ბრძანებულხართ... ღმერთმა დაგვიფაროს, აბა რას ბრძანებთ, მაგვვარად ხალხის გაპახსირება ყოვლად შეუძლებელია, მაგვარი სასოწარკვეთილება მომასწავებელია ზნეობრივის მოდუნებისა, გონებრივი სიჩლუნგისა, სიმჩატისა, რაიც ყველა მტერზედ უსაშინელესი მტერია, გამანადგურებელი ეროვნებისა, ხალხოსნობისა. იცით რა მოგახსენოთ... ქართველებშა მაინც ყველაფერში გადაჭარბება ვიცით:— თუ ვინმე მოგვწონს და ვაქეთ, ცამდე ავამაღლებთ და თუ ვაძაგეთ, ვაი შენს მტერს, ქვესკნელს ჩავფლავთ, ჩავაქვავებთ.

აბა რას ბრძანებთ, ნუ თუ დასაჯერებელია... როდესაც ყველა სახელმწიფოს პატარა ერმა თვალი მოიფშვნიტა, თავი წამოყო, წელში გასწორდა, ხმა აღიმაღლა, იმედი მიეცა ეროვნულ უფლებათა აღდგენისა, ნუ თუ მართლა ქართველობას იქამდე სძინავს სღათას ძალითა, რომ ამ მწვავე დროსაც კი სიჩლუნგეს განიცდის, ფხას არ იჩენს. „ცისა გახსნას დავესწრები, ქვეყნების დამყარებასაო“... განა მართლა ცა ყოველთვის გაიხსნება... ან და ხო გახსოვთ სახარების იგავი, ხუთი ქალწული ბრძენი და ხუთიც სულელი რომ გავიდნენ ლამპრებით სიძის მისაგებებლად. ნუ თუ გაწბილებულ უგუნურ ქალწულების დღე მოელის საქართველოსაც. ყველა თავისას მიიღებს და ჩვენ კი პირში ჩალა გამოვლებული დავრჩებით?...

— მერე და როგორ არა სთქვას კაცმა! ფინლანდიისა რა მოგახსენო და დანარჩენ არც ერთს რუსეთის იმპერიაში შეულ ეროვნებას არა აქვს იმდენი პოლიტიკური უფლება, როგორც საქართველოს. ეჰ, „რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო“... ხო გაგიგონიათ ქართული ანდაზა. მერე ვინაა აქ დამნაშავე, ვინ უნდა აგოს პასუხი, თუ არ ჩვენმა თავად-აზნაურობამ. მაშინ, ამ 60 წლის წინეთ დემოკრატია სადა გვყვანდა, გლეხი რა ეკითხებოდა, იგი პირმეტყველი პირუტყვთან ერთად ბატონის უღელში იყო შებმული. საქართველო, ეს ჩვენი სამოთხის სადარი ტურფა სამშობლო, ჩვენმა თავად-აზნაურობამ ულმერთოდ გაჰყიდა — ღენერლობაში, სისხლის ჯვარში, ჩინებსა და ორდენებში გასცვალა...

— მოითმინეთ, მოითმინეთ, თქვენ შორს შეტოპეთ, ჩემო ბატონო... ეგ რაც მოხდა, მოხდა. გაბრიყვებულ წინაპარების ისტორიულ დანაშაულს დღევანდელი თაობა, თავად-აზნაურობა აკი ასწორებს, ყველაფერს აღადგენს—ამ ზნეობრივ მოვალეობას მოიხდის ღვთისა და სამშობლოს წინაშე...

II

— დამაცადეთ, ნუ ცხარობთ, დალაგებით ვილაპარაკოთ. მე დიდათ ვაფასებ თქვენს აზრს და სიტყვას, რადგან ქართლს კარგათ იცნობთ, თუმცა მეც მაქვს შემოვლილი მთელი ქართლი... ერთი ეს მიბრძანეთ, მაშ თქვენის აზრით რა ეშველება ქართლს, ვინ გამოიხსნის ლიბე-ყორედან, ვინ დააყენებს გარკვეულ გზაზე? მაგალითად, თავად-აზნაურობამ ნუ თუ სრულებით დაჰკარგა ინიციატივის უნარი, დავიჯერო, ხელიდან წაუვიდა ზნეობრივი ავტორიტეტი!?

— რაზედ ამყარებთ ნეტა მაგ თქვენს იმედებს?..

— რაზედ და არა ერთსა და ორს ისტორიულ ფაქტზე. ავიღოთ, თუ გინდ გორის მაზრის თავად-აზნაურობა, ის მაინც აღარ გახსოვსთ, ნიკო დიასამიძის ბელადობით გორის მაზრის თავად-აზნაურობამ ტელეგრამით რო მოსთხოვა რუსეთის ბიუროკრატიას: **დაუბრუნეთ საქართველოს მისი ისტორიული უფლებანი იმდენად მაინც, რამდენადაც ფინლანდიას აქვს მინიჭებულიო.**—დროა გამართლოთ ის ჩვენი დიდი იმედები,—მცირეოდენად მაინც მოიხადეთ ვალი საქართველოს ერის წინაშეო, ჩვენ თამასუქის განაღდებას მოვითხოვთ თქვენგან და არა მოწყალებასაო... ან ის აღარ გახსოვთ, როგორის რიხით კერესელიძემ ქართლის სახელით სამძიმრის ტელეგრამმა რო გაუგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტის გამბეტას გარდაცვალების გამო!...

— ეგ რა უყოთ,—ბურბუშელა აპრიალდა და ჩაქრა, მაგ გვარ ექსტაზებს ჩვეულნი ვართ. საქმე ის არის, ჩვენი თავად-აზნაურობა, როგორათაც წოდება, სისტემატიურად, ბეჯითათ მიჰყვეს საშვილიშვილო საქმეს,—მოითხოვოს იმ უფლებათა აღდგენა და დაბრუნება, რომელნიც ისე ოსტატურად, რუსის დიპლომატიამ ქრისტეს მიერ უფროსი ძმის სახელით ხელიდან გამოგვაცალა ყოვლად უსამართლოთ. თორემ წინეთაც განა არ ჰყვანდა გორის მაზრას ეროვნული პოლიტიკის ადგენისთვის მებრძოლნი; გავიხსენოთ 1830 წელი—გიორგი და ელიზბარ ერისთავები და სხვანი.

— არა, ჩემო, ბატონო, ერისთავების პოლიტიკა დღეს აღარ გამოდგება, ისინი იმპერიალიზმით იყვნენ გატაცებულნი, საქართველოს მეფის ტახტს ეტრფიალებოდნენ. აკი, მგონი, ელიზბარს ეთქვა: ვიდრე სხვას ავირჩევთ, ჯერ მე ვიქნები მეფედო (пока я буду-то)..

დიაღ, დღეს მეხუთე კლასის მოწაფესაც კი კარგად ესმის, რომ ორ მილიონ ხალხს, თუ გინდ ზღაპრულ მამაცსა და გულკაცს, მარტოოდენ საკუთარის ძალით სამეფოს შენახვა არ შეუძლია. საქმე მარტო ხმალზე და მკლავზე როდია დამოკიდებული, საქმე ის გახლავსთ, რომ ესოდენ პაწია სამეფო თავის ბიუჯეტით ორი პოლკის შენახვასაც ვერ შესძლებს. მაშასადამე, ამისთანა პატარა სახელმწიფოს უექველად ვინმე ძრიელი მფარველიც სჭირია, რომ ეკონომიურად ძრიელდებოდეს, ინდუსტრიის ყველა დარგი არ შეფერხდეს, განავითაროს, ვაჭრობა და მრეწველობა ააყვავოს.

— ეგ თქვენი აზრი ყოვლად მოსაწონია. ვისაც ეკონომიური ძალა არ შესწევს, იმას არც ძალუძს პოლიტიკური ცხოვრება დამოუკიდებლად აწარმოოს. ხო ხედავთ დღევანდელ ომის ასპარეზზე რო გოლიათები, ბუმბერაზი მდევები ჭიდაობენ, დღევანდელ ზარბაზნებს ორი მილიონი და მისი მონაგარი ერთ საუზმეთ არ ეყოფის.. ყველა ეს საანბანო ჭეშმარიტებაა. დღეს ვინ და იქნება იმისთანა უგუნური ქართველი, რომ საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენას ფიქრობდეს! ჰო და ნეტა არ იქნებოდა, რომ რუსეთის ბიუროკრატია ერთხელ და სამუდამოთ მოხსნიდეს საქართველოს ძალათი თავზე მოხვეულს რაღაც **სეპარატიზმის იდეას...**

— ეჰ, ბატონო ჩემო, ადვილი ასახსნელია—სეპარატიზმს თითზე იხვევენ გარუსების პოლიტიკის გასამართლებლად, თორემ განა კი თითონ არ იციან, რომ საქართველოს ხელს არ მისცემს რუსეთს ჩამოშორდეს, რადგან ეკონომიურადაც ვერ შესძლებს პოლიტიკური თვითარსებობა მოაწყოს.

— ვსთქვათ, კიდევაც ჩამოშორდა... მერე ვის და უნდა მიეკედლოს.. ოსმალოს?.. სპარსეთს?.. განა ესენი არ არიან ჩვენი მეზობლები, აზიისკენ უნდა ვქნათ ისევ პირი?!

— მე უკეთ მოვახსენებდი დღევანდელ რუსის ბიუროკრატიას... მერწმუნეთ, ბატონებო, რუსეთის პოლიტიკა რო სრულებით შესცვალოთ და ჩვენმა აპეკუნმა რო გვითხრას: ახლა კი მომშორდით თავიდან, მომბეზრდა ე თქვენი ლალაობა-მოვლაო, მაშინ იცით, ბატონებო, რა მოხდება!? მოხდება ის, რომ საქართველო თვითონვე შეგეხვეწებათ: ღვთის გულისათვის, მაგას ნუ იზამთ, ისევ დაგვტოვეთ თქვენის მფარველობის ქვეშაო.

ილ. ალხაზიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდათუთქულნი ქვრივ-ობოლნი: და ანნა ბეკოს ასული, მეუღლე ანნა ნიკოლოზის ასული, და პელაგია ბესარიონის ასული ჩიქოვანისა, ძმები დავით და პეტრე ბესარიონის ძე ოჯახობით, ილარიონ და ბაგრატ ბესარიონის ძენი კიზირიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 29 იანვარს, ქ. ბაქოში, უეცრად გარდაიცვალა სამთო ინჟინერი

**იასონ ბესარიონის ძე**

**კიზირია**

ცხედარს მოასვენებენ თბილისის სადგურზე ოთხშაბათს, 1 თებერვალს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა ს. ნოსირში.

ხედრო სამრეწველო მთავარ კომიტეტის ის საგანგებო ბინაც, რომელიც ამ ჯგუფს ჰქონდა დათმობილი. ჩხრეკამ არა თუ გაამართლა ეჭვები, არამედ რამდენიმე სერიოზული საბუთიც აღმოჩნდა. ამის გამო თერთმეტი წევრი მუშათა ჯგუფისა დაატუსაღეს. მათთან ერთად დატუსაღებულია 4 კაცი, რომლებიც ჯგუფის დავალებით მუშათა მასიურ დემონსტრაციებს ამზადებდნენ. საქმე ბრალმდებელს გადაეცა, რომელიც სისხლის სამართლის 102 მუხლის ძალით პასუხის გებაში მისცემს ზემო აღნიშნულ პირთ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## ამერიკა

### ფორდის წინადადება

შეერთებულ შტატების მთავრობას ავტომობილის მექარხნემ ჰენრი ფორდმა წინადადება მისცა: დღეში 1000 წყალქვეშას დაგიმზადებთ და 3000 ავტომობილსაო. წყალქვეშები სიგრძით 9 არშინამდე იქნება. ფორდის ქარხნებში 42 ათასი მუშა ხელია, თურმე. რამდენად შესძლებს ჰენრი ფორდი გერმანელებისაკენ მიმართულ მუქარის განხორციელებას არ ვიცით, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამერიკაში სახლებს ასევე სწრაფად აგებენ, როგორც ბავშვები ქაღალდის ხუხულას.

### ამერიკელი ქალები

ამერიკაში შესდგა „ამერიკის რევოლიუციის ქალთა საზოგადოება“, რომელშიაც უკვე 9100 ქალია ჩაწერილი. ისინი ამზადებენ სასანიტარო რაზმებს. სუფრაჟისტი ქალების ორგანიზაციაც ამ გზას დაადგა.

### ამერიკის დესპანის განცხადება

კოპენჰაგენიდან ი. ტროევი იტყობინება: შეერთებულ შტატების დესპანმა საუბარის დროს განმიცხადა: ორი დღეა მოწყვეტილი ვარ ბერლინს, ვენას და სტამბოლს. ვაშინგტონიდან არავითარი ცნობები აღარ მომდის. ალბად ცენტრალი სახელმწიფოები ჩემს სახელობაზე მიღებულ წერილებს გზას არ აძლევენ.

მოხდება თუ არა შტატებსა და გერმანეთს შორის ომიო?—მეკითხებით. გერმანეთის მინისტრების შეურიგებელი განცხადებანი ჰმოწმობს, რომ ომი აუცილებელია. ამერიკას ომი არა ჰსურს და გერმანეთს მოფიქრების ვადაც მისცა. მაგრამ ბერლინმა ვაშინგტონიც საფალავნოდ გამოიწვია, როგორც მთელი ქვეყანა. ამერიკაც იძულებულია პასუხი გასცეს. სკანდინავიის სახელმწიფოებზე ვერას ვიტყვი. მათი მდგომარეობა მეტისმეტათ დამაფიქრებელია. ეს სახელმწიფოები სულითა და გულით სცდილობენ ნეიტრალობის შენარჩუნებას და უნდათ თავისი სამფლობელოს მსოფლიო ცეცხლის ალი აარიდონო.

### შეერთებულ შტატების გულისხნადები

ამერიკის გამოსვლის გამო ს. დიმიტრიევი სწერს: ამერიკაში დამზადებულ მასალის გზავნა ევროპის სახელმწიფოებისათვის დიდს გავლენას იქონიებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ გააგრძელებდა ომს, მის მსვლელობაზე კი არსებითს გავლენას ვერ მოახდენდა. რომელ მებრძოლ მხარესაც უნდა მიემხროს ამერიკა, ეს ომის მსვლელობას ნირს ვერ შეუცვლის. თუნდაც გერმანეთს მიემხროს ამერიკა, არსებითს დახმარებას ვერ გაუწევდა. უფრო ნაკლები მნიშვნელობა ექმნებოდა მისი მოკავშირეების მხარეს გადასვლა, რადგანაც მაშინ ამერიკის ფლოტი (ხმელეთის ჯარი მეტის მეტად ცოტა ჰყავთ) ფაქტიურად გამოუყენებელი დარჩებოდა, ეკონომიურად ხომ ეხლაც ეხმარება მოკავშირეებს. განსხვავება ის იქნება მხოლოდ, რომ ეხლა ამერიკას ნაღდფულად უსწორდებიან, მაშინ კი სამშვიდობო კონფერენციაზე „ხმის უფლებას“ მიიღებდა, რასაც ასეთის თავგამოდებით ესწრაფვის ამერიკა. ნეიტრალობა რომ კვლავ განეგრძო, მაშინ კონფერენციაზე ხმის უფლებას დაჰკარგავდა. გერმანეთს რომ მიმხრობოდა, ამერიკა ხელს შეუწყობდა უზომოდ გაჭიანურებულიყო ომი და მოკავშირენი მაინც ლელოს გაიტანდნენ პირისპირ ბრძოლით ან მოპირდაპირეთა დამშევით. მოკავშირეთა მხარეზე გადასვლით კი, ამერიკა გერმანეთს ხელფეხს გაუხსნიდა დაუნდობელ წყალქვეშა ბრძოლის გასაჩაღებლად. ამ გზით გერმანელების წყალქვეშები უყოყმანოდ იწყებდნენ გემების ღუპვას ყველგან, იმისდა განურჩევლად, თუ ვისია გემი.

ასეა თუ ისე, ამერიკამ თავი უნდა დააღწიოს პოლიტიკას და სტრატეგიაში უნდა გადადგას ნაბიჯი. ამერიკის ასეთი ნაბიჯი კი, რა სახითაც უნდა მოხდეს, ომის დასასრულს დააჩქარებს

## გერმანეთი

### ციმერმანის განცხადება

გერმანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ამერიკულ სააგენტოს „Associeted Press“-ის თანამშრომლისათვის განუცხადებია: უილსონის გადაწყვეტილებამ იმედი დაგვიკარგა. მას მერე, რაც მოკავშირეებმა საზავო წინადადება უარჰყვეს, ჩვენ წყალქვეშა ბრძოლის დაუნდობელ წარმოების მეტი არაფერი დაგვრჩენია. ამერიკამ სწორედ მაშინ მიგვატოვა, როცა ზღვაზე თავისუფალ მენავეობის უფლებისათვის ვიბრძვით. ამერიკისათვის არავითარი პირობა და სიტყვა არ მიგვიცია. მაინც გვრწამს, უილსონი ამერიკულ გემებს ჩვენ მიერ გარემოცულ ადგილებში არ გამოგზავნის. არსებობისათვის ბრძოლაში ჩვენთვის არ არსებობს სიტყვა „შეჩერდი“.

### „ფორვარც“-ის აზრი.

„ფორვარც“-ი ეხება უილსონის გამოსვლას წყალქვეშა ბრძოლის გაჩაღების გამო და ამბობს: ადვილია უფლებებზე მსჯელობა, როცა მეზობელ დუქანში ყოველი სანოვაგე იშოვება, მაგრამ როცა მთელი ერი დამშეულია, მას სხვის უფლებებთან არა ესაქმება რაო.

# უკანასკნელი ცნობები

**შეერთებულ შტატებში საკითხი აღიძრა იმის შესახებ, რომ დაარსდეს ნაციონალური კაბინეთი. ეს კაბინეთი განაგებს ომის საკითხს. ამერიკელ პაციფისტების ლიდერმა ბრიანმა განაცხადა, თუ ჩვენ გერმანეთთან ომი მოგვიხდა, აღარავითარ შესარიგებელ გეგმებს აღარ წარმოვადგენთო.**

—

**არგენტინა, ბრაზილია და ჩილი გერმანეთის წინააღმდეგ მხოლოდ პროტესტს განაცხადებენ, გერმანეთთან დამოკიდებულებას კი არ შესწყვეტენ, ვიდრე ამერიკა ომს არ გამოუცხადებსო.**

—

**გერმანეთმა სკანდინავიის სამეფოებს კატეგორიული უარი შეუთვალა ინგლისთან პირდაპირ დამოკიდებულების გამო და განუცხადა, ყველა გემებს ჩავღუპავთო. გერმანეთს მოუთხოვნია, ინგლისში წასაღებად დანიშნულ მასალის ნაწილი გერმანეთს გარდმოეცითო.**

—

**ჰოლანდიის გემს „სამარინდას“ გერმანეთის წყალქვეშათაგან დაღუპულ გემებიდან გადარჩენილი 179 კაცი მოუკრეფია. ამ ორის დღის განმავლობაში გერმანეთის წყალქვეშებს დაუღუპავთ 21 გემი, აქედან 9 ნეიტრალ სახელმწიფოებს ეკუთვნის.**

—

**ამერიკა დიდს ყურადღებას აქცევს მექსიკას. მექსიკის მთავრობას გერმანეთის მთავრობა ინახავს. ამ ბოლო დროს მექსიკასა და გერმანეთს შორის რადიოტელეგრაფებით გაცხარებული მოლაპარაკება სწარმოებს.**

—

**ამერიკაში ომისთვის დიდი მზადებაა, მაგრამ ამერიკელ დიპლომატებს მაინც სწამთ, გერმანეთთან საქმეს მშვიდობიანად გავათავებთო.**

—

**როგორც ვოლფის ბიურო იტყობინება, დაარსებულა გერმანეთ-ირლანდიის საზოგადოება. როგორცა სჩანს, გერმანეთსა ჰსურს ინგლისის წინააღმდეგ დარაზმოს ირლანდია, თუ ამერიკა საბოლოოდ მოკავშირეებს მიემხრო.**

—

საფრანგეთში ქვანახშირი აღარსაიდან შედის, ამიტომ დიდი გაჭირვებაა. ქვანახშირს ვეღარც ინგლისი აწვდის. ამის გამო თეატრები, კინემატოგრაფები, რესტორანები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი კვირაში ოთხი დღით იკეტება, რათა ქვანახშირის ხარჯვას გაუფრთხილდნენ. ტრამვაიების მიმოსვლა ღამის ათს საათზე სწყდება. მუზეუმები სულ მთლად დაკეტილია. ქვანახშირის კრიზისი გერმანეთშიაც ყოფილა.

—

სენატში დიდი მთავრის რაპორტი გაარჩიეს რაპორტი შეეხებოდა ბაქოში მომხდარ არეულობას და დუქნების ცარცვა-დარბევის. ბრალი ედება გუბერნატორის თანაშემწეს მარტინოვს, რომელსაც არავითარი ზომები არ მიუღია და სანოვაგე ნიხრის მიხედვით არ გაუყიდვინებია. სენატმა მარტინოვს განმარტება მოსთხოვა.

—

**სამხედრო პირთა გამოანგარიშებით, გერმანეთს 6 მილიონი ჯარი ჰყოლია თოფ ქვეშ.**

—

**გერმანეთის წყალქვეშები დიდს ზარალს აყენებენ მოკავშირეთ ორშაბათს დაუღუპნიათ გემები 6000 ტონის წყალწყვისა, სამშაბათს 40,000 ტონისა, ოთხშაბათს 18,000 ტონისა, ხუთშაბათს 20,000 ტონისა.**

# ახალი ამბავი

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების** 1916 წელს წიგნის მაღაზიისა და გამომცემლობისაგან შემოსულა 20.000 მანეთი.—ამავე საზოგადოების წევრთა კრება გაიმართება კვირას, თებერვლის 5, 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად. საზოგადოების ტფილ. განყოფილების დამფუძნებელი კრება გაიმართება თებერვლის 12. კრების მოწვევა მინდობილი აქვს გამგეობის დროებითს თავმჯდომარეს შიო დედაბრიშვილს: განყოფილებათა რწმუნებულების კრება მთავარ გამგეობის ასარჩევად აპრილში გაიმართება. კრების დღე ერთის თვით ადრე ეცნობება განყოფილებებს.

✦ **შემწეობა სამრევლო სკოლებს.** უწმიდეს სინოდს, დამატებითად გადაუდვია თითოეულ საეკლესიო-სასოსტატო სკოლის შესანახად 2.000 მანეთი, ხოლო მეორე—კლასიან სამრევლო სკოლებს 500 მანეთი.

✦ **სამრევლო სკოლების გადაკეთება.** განზრახულია ის სამრევლო სკოლები, რომლებიც პროგრამით უმაღლეს პირველ-დაწყებითს სკოლებს უდრიან, უმაღლესი პირველდაწყებითი სამრევლო სკოლები დაარქვან.

✦ **სასოსტატო სემინარიები და ინსტიტუტები.** განზრახულია კავკასიის სამოსწავლო ოლქში გახსნან რამდენიმე სავაჟო სასოსტატო სემინარია და ინსტიტუტი.

✦ **ქურდობა.** 30 იანვარს რუსთის ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა მაღაზია გაუტეხეს პოგას საფიანცს და წაიღეს 30 წყვილი ფეხსაცმელი, 900 მანეთად ღირებული. 20 იანვარს ავლაბრის ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა გაუტეხეს ღვინის საწყობი სტეფან ანანოვს და წაიღეს 300 მანეთი. 27 იანვარს ანდრეევის ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა სახლი გაუტეხეს ელენა რაკიტიანს და წაიღეს 270 მანეთის ტანსაცმელი. შემდეგ შეპარნენ საქურდლად ზაქარია დავიდოვის სახლში, მაგრამ შეუტყვეს და ერთი მათგანი დაიჭირეს, დაჭერილი აღმოჩნდა ჯარისკაცი გრიგორი ივანოვი.

✦ **ქალაქის კომიტეტი** სთხოვს ქალაქთა კავშირის განყოფილებას 200 000 მანეთს ლაზარეთისათვის.

✦ **პარიზში** გარდაიცვალა ნ. ე. ზუბალაშვილის ქვრივი ემმა გენრიხის ასული ზუბალაშვილისა.

✦ **დაჭერა.** 30 იანვარს შეიპყრეს ყაჩაღათ გავარდნილი ჯარის კაცები: აბრამ ცუკანოვი, ვასილი გლადჩენკო, სიმონ გოგუშვილი და მეორე ხაროსხის მოლაშქრე, რომელნიც დანიშნულ დროს სამხედრო ბევრის მოსახდელად არ გამოცხადებულან: ვლადიმერ ქვარცხაძე, თადეოზ ყაფიანიძე, გიორგი აპრიაშვილი, ბესარიონ ხუნდაძე, ვლადიმერ პოლოლოვი და ალექსანდრე ჩაგიშიძე.

✦ **სასოსტატო საქალებო სემინარიები.** ყოველ გუბერნიაში თითო საქალებო სასოსტატო სემინარიის გახსნას აპირებენ.

✦ **საქართველოს ეგზარხოსს** ყოვლად უსამღვდელოესს პლატონს სურვილი გამოუცხადებია მიიღოს წოდება „კავკასიის შავის ზღვის სანაპიროთა ბუნებისა და ბუნების მეტყველების მუზეუმის“ საპატიო წევრისა.

✦ **ნიკო გოცირიძის** 20 წლის სასცენო მოღვაწეობის საიუბილეო წარმოდგენა გაიმართება 4 თებერვალს სახალხო სახლში.

✦ **გასართობების აკრძალვა.** დღეს საღამოს აკრძალულია გასართობები.

✦ **სწავლის ფულის გადიდება.** 30 იანვარს ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ ავლაბრის გიმნაზიაში სწავლის ფული გადიდდეს 40 დან 60 მანეთამდე.

✦ **საიუბილეო წარმოდგენა.** კვირას, 5 თებერვალს, ხარფუხის კლუბი უმართავს დამსახურებულ მსახიობს ელისაბედ (ლიზა) ჩერქეზიშვილს 30 წლის სასცენო მოღვაწეობის საიუბილეო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „ხანუმა“ და „დედის ერთა“. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ვასო აბაშიძე.

✦ **გ. დ. ჟურული** 30 იანვარს ქალაქის საბჭოს მიერ ხელახლად იქმნა არჩეული ქალაქის გამგეობის წევრად. მიიღო 45 თეთრი და 9 შავი კენჭი.

✦ **ქალაქის საბჭომ** 1 აპრილამდე თვიურ ჯამაგირად 2,300 მანეთი გადასდვა გაძლიერებულ სასანიტარო-სამკურნალო შტატისათვის.

✦ **პანაშვიდი.** გუშინ, 31 იანვარს, თბილისის ქართ. გიმნაზიის დირექტორის ალ. ბეს. ჭიჭინაძის დასაფლავების დღეს გიმნაზიის ეკლესიაში მიცვალებულის სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ გიმნაზიის მასწავლებელნი და მოწაფენი.

✦ **ცეცხლის გაჩენა.** 29 იანვარს რტიშჩევის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ექიმ მინას მურადოვის სახლს. ცეცხლის მქრობელი რაზმი დროზე მოეშველა და სახლი დაწვას გადაარჩინა. ზარალი 500 მანეთისაა.

✦ **ქ-ნ ე. ი. რატინოვისამ** სარუქრად მიართვა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას მის მიერ გადაღებული 1903 წელს კაბენის მონასტრის ჩუქურთმები და ფრესკები. ამ წელს რუსის ბერებმა სავსებით დაანგრიეს ეს ხელოვნური ნაშთი და იმის ნაცვლად უბრალო შენობა ააგეს ეკლესიისათვის.

✦ **დამატებით ხარჯთ-აღრიცხვა** 1916 წლისა 811.000 მან. ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა და განსახილველად წარუდგინა საფინანსო კასისს.

✦ **ბაზარი.** დაკლულ ფრინველების ფასმა რამდენიმედ დაიკლო. 31 იანვარს ინდოური ფასობდა 6—12 მან., ბატი 3—50—4 მან. ქათამი 2—40—3 მან., იხვი 2—50—3—50 კაპ., კურდღელი 3—3—50 კაპ., დაკლული გოჭი 7—10 მან., გირვანქა ზუთხი 1—20 კაპ., ორაგული 2—40 კაპ., კობრი 35 კაპ., კუტუმი 30 კაპ., ლოქო 40 კაპ., მთის ყველი გირვანქა 1 მან.

✦ **ქრისტიანე ქართველები ოსმალეთში.** გაზეთი „სამშობლო“ (№ 537) მეტად საყურადღებო ამბავს გვაუწყებს: ოსმალეთში ქართველი ქრისტიანებიც ყოფილან. დიარბექირიდან ასე 140 ვერსის სიშორეზე სულ 8 სოფელია ქართველებისა: წუკატი, ნაზრახული, თუთბა, სარჯიკი, ბაზართა, პერჯიკეთი, ასურბათი და გარჯი. ქართველთა რიცხვი 12 ათასამდე ადის. აქამდე შერჩენიათ არა მარტო ენა, არამედ მართლმადიდებელი რჯულიცა. ჰქონიათ ერთი დიდი ეკლესიაცა სოფ. გარჯში, ჰყოლიათ მღვდელი და წირვა-ლოცვა ქართულათა სრულდება თურმე.

✦ **მატარებლების მიმოსვლის შეჩერება.** თებერვლის 1—14 რიცხვებში რუსეთიდან დღეში მხოლოდ თითო მატარებელი ივლის პეტროგრად-კავკასიისა, კავკასია—მოსკოვს შუა. ამ მატარებლით სიარულისთვის განსაკუთრებული ნებართვაა საჭირო. ეს ნებართვა მიეცემათ იმათ, ვინც ჯარში არიან, ან წევრები არიან სახელმწიფო საბჭოსი და სათათბიროსი. მატარებლების მიმოსვლის შეჩერების მიზეზი ისაა, რომ მეტად გვიანდება ნახშირის გადაზიდვა დონის საქვანახშირო ადგილებიდან.

### ქუთაისი.

ამას წინად მიღებული პურის ფქვილი რაჟდენ დათეშიძემ ქალაქის გამგეობას გადასცა. ამ დღეებში კიდევ მოელის რ. დ. რამდენსამე ვაგონს ფქვილს.

— სამიწადმოქმედო დეპარტამენტმა დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა სამეურნეო სასწავლებლის მებაღეობა-მეღვინეობის სკოლად გადაკეთებისა.

### ხაქარა (შორაპ. მაზ.)

ამ გაზაფხულზე დაიწყება საქარის სანერგეში ვაზის მყნობა. ვისაც დამყნილ ვაზის შეძენა სურს, 15 მარტამდე უნდა განაცხადოს თავისი სურვილი და შემოსთვალოს საჭირო ვაზის რაოდენობა. ათასი ნამყენი 50 მანეთად ღირება.

### ლანჩხუთი.

იანვრის 5 აქეთელმა აზნაურმა შალიკაშვილმა, რომელიც პოლიციას ემალებოდა სალდათობის გამო, მოიტაცა ქმარ-შვილებიანი ქალი როყვასი. ქმარი მოტაცებულისა ჯარშია.

### ზესტაფონი.

25 იანვარს, საღამოს 9 საათზე ცეცხლი გაუჩნდა ხაზინის შენობას ღუმელიდან. დაიწვა ხის მასალა: ჭერი, იატაკი, კოჭები. ფულები და საქმეები გადაარჩინეს. ზარალი 5000 მანეთისაა. შენობა თ. ხუსჭიაძეს ეკუთვნოდა.

— 26 იანვარს, შუადღისას, როცა ბაზრის ზედამხედველი ორმოცაძე ჯარის კაცს ლილუაშვილთან, რომელიც სხვას ეჩხუბებოდა, მივიდა და სთხოვდა პოლიციაში წაჰყოლოდა, მოეპარა მამა ამ ლილუაშვილსა და ყასბის დანა ჩაჰკრა. ორმოცაძე სასიკვდილოთაა დაჭრილი. შვილი დაიჭირეს, მამა გაიქცა. დაედევნენ პოლიციელნი.

— 10 თებერვლისათვის კრებაა დანიშნული ზესტაფონში სამეურნეო სკოლის გახსნის თაობაზე.

### ბათომი.

გამგეობის წევრს ბ. რეჯებ-ბეგ ნიჟერაძეს სამსახურის ვადა უთავდებოდა. საბჭოს იანვრის 23 სხდომაზე ისევ ნიჟერაძე აირჩიეს (19 თეთრი. 5 შავი).

— ბათომის საბირჟო კომიტეტს განზრახვა აქვს მომავალ ღვინობისთვიდან აქ გახსნას საკომერციო სასწავლებელს.

### ფოთი.

იანვრის 27 გურიის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა მამონტი ცოპაიას სახლს. ცეცხლმა იმსხვერპლა აგრეთვე მდგმური 75 წლის მოხუცი დედა მოსე დოლიძისა.

### ბაქო.

გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, თუ გაფიცული მუსლიმანი მუშები სამ დღეზე მუშაობას არ განაახლებენ, ყველას ჯარში წავაყვანინებო.

— სომეხთა უბანში აღმოაჩინეს მშვენივრად მოწყობილი საარყე ქარხანა.

# ალ. ჭიჭინაძის გარდაცვალების გამო

### სამძიმრის დეპეშები და წერილები

თბილისის ქართულ გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს მოუვიდა შემდეგი სამძიმრის დეპეშები:

„ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზია დიდად დაამწუხრა მშობლიურ სკოლის ძვირფასისა და დაუვიწყარის მომამგის, საზოგადო მოღვაწის, ალექსი ჭიჭინაძის გარდაცვალებამ.

ოცხელი“.

—

„გულწრფელ სამძიმარს ვუთვლი ჩემს ძვირფას აღმზრდელთ, ჩვენის დაუვიწყარი მოხუცის, გიმნაზიის ნამდვილ მამის ალექსი ჭიჭინაძის გარდაცვალების გამო“.

ყოფილი შეგირდი ქართულ გიმნაზიისა, ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტი **ვ. ბატრაკოვი.**

# დავით აღმაშენებელი და თბილისი

(ისტ. ცნობა)

851 წლიდამ თბილისი არაბთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. აქ სცხოვრობდენ არაბთა ემირები, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებდნენ ქართველთა ცხოვრებას და ბაღდადის ქალაქში, სადაც ხალიფები იყვნენ, ყოველ წლივ გზავნიდნენ ქართველ ერის მიერ გადახდილ ხარკს. თბილისში ემირთა ყოფნასთან შეერთებული იყო მთელის საქართველოს ცხოვრების სვე ბედიც. **ხამახ წელზე** მეტისა ხნის განმავლობაში ქართველთა მბრძანებლად არაბნი იყვნენ, რომელნიც აგრე რიგად არ ერეოდნენ მათს საოჯახო, საშინაო საქმეებში. ხანდახან იფეთქებდა არაბთა ფანატიზმი და რისხვით ევლინებოდა ქართველობას. მაგრამ საზოგადოდ მაშინდელი ყოფა ქართველებისა უფრო ვასალურ დამოკიდებულებას მოგვაგონებს. ქართველებსა ჰქონდათ საეკლესიო და სამოქალაქო თვითმართველობა. ამ გარემოებამ შეამზადა პოხიერი ნიადაგი, რომელზედაც აღმოსცენდა შემდეგში ოქროს ხანა ჩვენის ცხოვრებისა. არაბთა მეცნიერებანი გადმოინერგნენ საქართველოს ნიადაგზე, და ქართველის გონება ამუშავდა მეცნიერულ ცოდნათა მეოხებით.

თვით თბილისში, თუმცა ქალაქი არაბთა ხელში იყო, სცხოვრობდნენ ქრისტიანები და დაუფარავად ქრისტიანობას აღიარებდნენ და თავიანთს ტაძრებში ღვთისმსახურებას უშიშრად ასრულებდნენ. 1042 წელს თბილისის დასავლეთი ნაწილი თავის ნებით გადავიდა მეფის ბაგრატ მე-IV მფლობელობაში. 1067 წელს ტურქ-სელჯუკების სულთანმა არპ-არსლანმა თბილისი დაიპყრა და მისი გამგეობა გადასცა განჯის ემირს. ქართულ მატიანეთა სიტყვით, 1122 წელს თბილისი დავით აღმაშენებელმა დაიპყრა და ამის შემდეგ ეს ქალაქი მტერთა ხელში აღარ გადასულა. მართლაც, დავით აღმაშენებელის შემდეგ თბილისი შეიქმნა ქართველთა ერის სატახტო და დედა-ქალაქად სამუდამოდ. თვით მუსულმანთა მწერლები დიდ მნიშვნელობას აძლევენ თბილისის აღებას დავითის მიერ და ამ ქალაქის აღებას ისეთ მოვლენად სთვლიდნენ, რომელსაც საბედისწერო შედეგი მოჰყვა მათის ბატონობისათვის. ამის გამო ეს მწერლები სხვა და სხვა ცნობას ათავსებენ თავიანთს ნაწერებში თბილისის აღების შესახებ (იხ. ბროსეს „Addition“-ში). მწერალი იაკუტი ამბობს, რომ გურჯები (ქართველნი) გაბატონდნენ თბილისში და ძლიერ კარგად ექცეოდნენ მცხოვრებლებს (იგულისხმებიან მუსულმანები). ელ-აინი ამბობს: დავითმა გაახარა თბილისის მუსულმანთა გული, რომელთაც მას სთხოვეს სხვა და სხვა წყალობანი. უბრძანა ქრისტიანებს, რომ გოჭები და ღორები არ დაეკლათ იმ უბნებში, სადაც მუსულმანები სცხოვრობდნენ, ნება მისცა მუსულმანთ მოეჭრათ თავისი ფული ღვთის, მისი წინასწარმეტყველის (მაჰმადის) და ხალიფის სახელთა ზედწარწერით; ქრისტიანებს ნება არ ჰქონდათ მუსულმანებთან ერთად აბანოებში ებანათ. დავითი თავის ძით დიმიტრიოურთ ყოველ დღე, როცა თბილისში იმყოფებოდა, დადიოდა უმთავრეს მეჩეთში, რათა მოესმინა ლოცვა მეფისათვის და კურანის კითხვა, აძლევდა ბევრს ფულს „ქათიბებს“ და „მუაძინებს“, აღაშენა მუსულმანთათვის ქარვასლა, სახლები მათი მქადაგებელთა, სუფიათა (მსაჯულთა) და პოეტთათვის. ამათ განსაზღვრული ჯამაგირიც კი დაუნიშნა. ვინც კი მოისურვებდა თბილისიდან წასვლას, დახმარებას უწევდა და დიდძალ ფულს აძლევდა სამგზავროდ. დავითი, ელ-აინის სიტყვით, უფრო მეტს პატივსცემდა მუსულმანებს, სანამ თვით მაჰმადიანი მეფეები... ai გულწრფელი და სამართლიანი აღსარება მუსულმან მწერლისა—ქართველი მეფის შესახებ, რითაც შეუძლია იამაყოს თითოეულმა ქართველმა დღესაც. შამ-ედდინი უმატებს, რომ მუსულმანთა მიერ პარასკევს უქმობა და ამ დღეს ლოცვა დავით მეფის ბრძანებით სრულიად უზრუნველყოფილი იყო.

დავითის მიერ თბილისის აღების წინ შედგა პოლიტიკური კავშირი მარდინის და ალეპპოს, გელახის და ამარანის ემირებისა, შედგა სამთა კავშირი, ქართველთა მეფის შესამჩნევად გაძლიერების წინააღმდეგ მიმართული. მოკავშირენი წამოვიდნენ საომრათ მის წინააღმდეგ, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. ამ დამარცხების შემდეგ დავითმა შესძლო, თუმცა სისხლის ღვრით, შესვლა თბილისში. პირველ ხანად დავითი წესრიგის დასამყარებლად სასტიკად იქცეოდა, მაგრამ მალე გამოიჩინა თავისი საოცარი და იშვიათი კაცთმოყვარეობა. არაჩვეულებრივის პატივისცემით ეპყრობოდა მუსულმანებს და მათს სჯულს, რადგან კარგათ შეგნებული ჰქონდა, თუ როგორ მგრძნობიარე სიმს წარმოადგენდა იმ დროს სარწმუნოებრივი გრძნობა. ამ პატივისცემას მოწმობენ თვით მუსულმანთა მწერლებიც, რომელნიც მოჯადოებულნი იყვნენ ქართველთა ქრისტიან მეფის უღრესი კაცთმოყვარეობით და საოცარ ადამიანობით... ამასთანავე მუსულმანთა მწერალი მაჰმად გამიკი ამბობს, რომ დავითმა მშვენივრად იცოდა მუსულმანური სჯული და რასაკვირველია, კურანი და არაბული ენაც...

მუსულმანებს ქართველები შეუყვარდათ და დროთა განმავლობაში შეითვისეს ზოგიერთი ამათი ჩვეულებანი. იაკუტი ამბობს, რომ თბილისში მუსულმანთა უმცირესობა ღვინოსა სვამდა და ჩადიოდა იმას, რაც სჯულის მიერ აღკრძალულიაო.

იშვიათია მსოფლიო ისტორიაში ისეთი მეფე, რომელიც ისეთი ვრცელი ბუნების პატრონი ყოფილიყოს, როგორისაც იყო დავითი, რომ ასეთი აღმსარებელი ყოფილიყოს ერთა და სარწმუნოებათა თავისუფლებისა. დავითმა შეიერთა თვის პიროვნებაში

და განავითარა ქართველი ერის ჭკუის, გულის და ნების საუკეთესო თვისებანი, რომელნიც უანდერძეს მას წინაპრებმა და ისტორიამ. არაა ამის შემდეგ გასაკვირი, რომ ის სული ეროვნულ და სარწმუნოებრივ თავისებურებათა პატივისცემისა, რომლითაც დაჯილდოებული იყო დავითი, საუკუნეთა განმავლობაში, არსებობის თვით შავბნელ დროს, ქართველებს გზის მაჩვენებელ ვარსკვლავივით წინ უძღოდა... დღესაც კი შეუძლია ქართველმა იმაყოს თვის მამაც წინაპართა მიერ გადმოცემულ ამ უძვირფასესი სამკვიდრებელით, რომელიც გაცილებით მაღლა უნდა დავაყენოთ ოქროსა და ნივთიერ სიმდიდრეზე.

**ილ. ფერაძე.**

## ეკონომიური ცხოვრება

**ამიერ კავკასიის ბანკის** აქციონერთა ყრილობა 5 მარტისთვისაა დანიშნული თავად-აზნაურობის ახალს შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე. ამ კრებისთვის ბანკის საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგი საკითხები აქვს განსახილველად:

1. მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედების შესახებ.

2. საბჭოს წევრთა რიცხვის მომატება.

3) ბანკისთვის უძრავ ქონების შეძენის შესახებ.

4) საბჭოს წევრთა არჩევა.

5) გამგეობის 3 წევრის არჩევა.

6) სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა.

7) განხილვა და დამტკიცება ამიერ-კავკასიის ბანკის 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

---

**შავი ქვის მრეწველებმა**—გ. ფხალაძემ, ნ. გაფრინდაშვილმა და პ. პეტრიაშვილმა შორაპნის მაზრაში, სოფელ ხალინოურში, მარგანეცის ამოღების ნებართვა აიღეს სამთო მმართველობისაგან.

---

**ქ. ფ. სიმენსის** მემკვიდრეთა ქარხნებზე ს. კვარცხანაში (ბათომის ოლქში) 1916 წ. 2,069,416 ფუთი სპილენძის მადანი გადამუშავდა.

---

**ნ. მ. ჯანელიძეს** ერთი წლით გაუგრძელეს გამოკვლევების ნებართვა ნავთიან მიწებზე ჩიჩენ-აულში გროზნას ოლქში.

---

**მეთევზეობა შავ ზღვაზე.** მთავრობა მეთევზეობის შემცირების მიზეზს იძიებს და ამის შესახებ თავრიდის ერობა თავის აზრს გამოსთქვამს და ამტკიცებს, რომ შავ ზღვაზე მეთევზეობის შემცირების მიზეზი მეთევზეობის შეზღუდვა და აგრეთვე მეთევზეთა ჯარში გაწვევააო. ამ ჟამად სამხედრო უწყება ზოგიერთ სანაპიროებზე ბადეების გაშლის ნებას არ იძლევა და ღამე თევზაობაც აღკრძალულია. ერობის აზრით, ეს შემზღუდავი ზომები უნდა გაუქმდეს და მეთევზენიც ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლდნენო.

---

**ხაზღვაო ფრახტი.** ზღვაზე მენავეობა ამ ომის დროს მეტად შეზღუდული და სახიფათო შეიქმნა და ამის გამო საქონლის გადასაზიდავი ფასი მეტად გაიზარდა. ინგლისის ნავთსადგურამდი კალკუტიდან, რომ 1914 წ. ტონზე ფრახტი 22 შილინგად ღირდა, 1916 წელს 174 შილინგამდის აიწია, გ. ი. რვაჯერ გაიზარდა.

## იშვიათი საღამო ქუთაისში

26 იანვარს ქუთაისში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ გამართა საღამო, დავით აღმაშენებელის ხსოვნის აღსანიშნავად. სივლერა-მუსიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ცნობილი კომპოზიტორი ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი. საღამო დაიწყო ბ-ნ ტრ. ჯაფარიძის სიტყვით. ლექტორმა მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველ ფორმებში აღნიშნა დავით აღმაშენებლის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე; მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ზრუნვა ერის საეკონომიო, გონებრივ და ზნეობრივ კეთილდღეობაზე დასასრულ, სთქვა შემდეგი: „იქნება, მრავალ მსმენელთაგანს ეხამუშოს დღევანდელი მუსიკა-სიმღერის შინაარსი ესტეტიურის მხრით, მაგრამ ჩვენ მიზნად დავისახეთ მოგასმინოთ არა ის, რაც ზოგიერთების გადაგვარებულ გემოვნებას მოსწონს, არამედ ის, რაც ქართველ ერს მოსწონდა თავის შორეულ წარსულში“.

შემდეგ გვაჩვენეს ცოცხალი სურათი დავით აღმაშენებლისა. სცენაზე მოსჩანდა ეკლესია და ისმოდა სასულიერო გალობა. ღვთაებრივი საიდუმლოებით სავსე შთაბეჭდილებას სტოვებს საზოგადოთ ბ. ფოცხვერაშვილის დაუღალავი ენერგიით აღდგენილი ძველი ქართულ-სასულიერო სიმღერები და ამ საღამოსაც ასეთ საიდუმლოებას ეზიარა დამსწრე საზოგადოება.

მეორე განყოფილება დაიწყო ბ. კ. ფოცხვერაშვილის განმარტებით ქართულ მუსიკასა და ცეკვა-თამაშის შესახებ. ჩვენმა საზოგადოებამ უკვე იცის ამ ნიჭიერ კომპოზიტორის აზრი ქართულ მუსიკაზე. იმ ტრადიციულ შეხედულობის შემდეგ, რომელიც ჩვენს ხელოვნებაზე გაავრცელეს ჩვენში მოხეტიალე უცხოელებმა, ძნელი მისაღები და დასაჯერებელი შეგვექნა ბ. კ. ფოცხვერაშვილის თამამი მოსაზრება ქართულ მუსიკის უაღრესობაზე, ევროპიულ მუსიკასთან შედარებით. საკმაო ერუდიციის მქონე კომპოზიტორი გვიმტკიცებს, რომ ვერც ერთმა ერმა, გარდა ქართველ ერისა, მუსიკაში სიმფონია ვერ შეიმუშავაო. ევროპიელთ მუსიკაში სიმფონია ხელოვნურად შექმნეს, ნოტებით შეისწავლეს, მაშინ როდესაც ქართველმა ერმა თავის შემოქმედების ბუნებრივის განვითარებით უმაღლეს წერტილამდის მიიყვანა მუსიკის ეს საუკეთესო მხარეო. ეს მოსაზრება დღევანდელ ქართველს ეროთირება, უკვირს ლექტორის ასეთი გამბედაობა. როგორ! ჩვენებური საცოდავი ჩანგური უნდა შევადაროთ ევროპიულ ფორტეპიანოს და გურული „ოდელია“ კიდევ—ბეტჰოვენის სიმფონიასო? მაგრამ კომპოზიტორი მაინც თავისას არ იშლის ევროპული მუსიკა ყალბია, ქართული კი ბუნებრივიაო! ჩვენ მუსიკის თეორეტიკოსი არ გახლავართ, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ თუ ბეტჰოვენის მადლიან ჰანგს შეეძლო უხეში ობობას სმენა მოეჯადოებია, მაშინ ჩვენს ესტეტიკურ ბუნებას ის მაინც შეეძლება, რომ „ზე-კაცური“ ხელოვნების განცდა ორიოდე ღარიბ სიტყვებში გაშალოს. თუმცა ბ. ფოცხვერაშვილის მიერ ქართულ მონასტრების ნანგრევებში ამოკრეფილ ჰანგებში დაუფასებელი და ეროვნულად გენიალურია სწორედ ის, რასაც სიტყვები ვერ გამოსთქვამენ. სიტყვიერება უძლურია მუსიკის უმეშვეო გენიალობის გადმოცემაში. ვისაც სურს დარწმუნდეს ნიჭიერ კომპოზიტორის ფილოსოფიურ რწმენაში, რომ „ქართველებმა მუსიკით დათრგუნეს, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სიკვდილი“, მან თითონ მოისმინოს და ეზიაროს ჩვენი ერის ღრმა სულიერ ყოფას, რომლითაც ხშირად გვატკბობს ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი.

შემდეგს განყოფილებებში გვაჩვენეს ჩვენი პოლიტიკურ - კულტურულ აღორძინების სიმბოლო „აკვანი ბაზალეთის ტბაში“, „ოქროს აკვანში“ მწოლარეს ჩვენს ეროვნულ სულს, „ავ-ნანას“ უმღეროდენ სირინოზები... და ვეკითხებოდით მოთმინებით დამწვარ გულს, ნეტა როდის შეიცვლება ეგ ხანგრძლივი, ძილის მომგვრელი იავნანა ბრძოლის ჰიმნად?..

უკანასკნელად მოვისმინეთ გურულ-აჭარელთა სიმღერები, ჩანგური ც ცეკვა-თამაში. თავის ლექციის შემდეგ ბ. ფოცხვერაშვილმა რამოდენიმე დამახასიათებელი მოტივები გაგვაცნო გურულთა ხოროს შემწეობით, რაც უკანასკნელებმა კარგათ შეასრულეს რაც შეეხება ცეკვა-როკვას, ამასაც დიდ მნიშვნელობას აძლევს ჩვენი კომპოზიტორი. განსაკუთრებულათ აღნიშნა „საკისებური“ მოტივი ქართულ როკვისა.

თეატრი მორთული იყო ხალიჩებით, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სურათებით, ძველ საარქეოლოგიო ნაშთების ფოტოგრაფიული სურათებით და ვარდ-ყვავილებით. სხვათა-შორის, თეატრს სახელმწიფოებრივ სულს აძლევდა ძველებური თოფი, ჯავშანი და მუზარადი, ეს უძლიერესი საწინდარი ჩვენის გაუქმებულ პოლიტიკურ მორჭმულობისა. („სამშობლო“)

**ეგრისი.**

## სიტყვა

**თქმული ალექსი ჭიჭინაძის გასვენებაზე გიმნაზიის ინსპექტორის ალ. მიქაბერიძის მიერ.**

ჩვენო დაუვიწყარო და ძვირფასო ალექსი!

უკანასკნელი „მშვიდობით“ უნდა გითხრა გიმნაზიის მასწავლებლებისა და მოწაფეების სახელით. შენმა უეცარმა სიკვდილმა ყველას თავს ზარი დაგვცა. ყველანი მწარე საგონებელში ჩაგვაგდო. შენის ასე მოულოდნელი სიკვდილით დავკარგეთ ის ძვირფასი ადამიანი, რომლის მადლიანმა მარჯვენამ ამ ოცდა ხუთის წლის წინეთ ქართულ გიმნაზიას მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა. შენის დაუცხრომელის შრომით და ენერგიით სხვებთან ერთად პირნათლად შეასრულე ეს საშვილიშვილო საქმე.

მართალია, ჟამთა ვითარების გამო დროებით ჩამოშორდი ამ შენს საყვარელ გიმნაზიას, მაგრამ შენი მგრძნობიარე გული მუდამ მძლავრად ძგერდა ჩვენი მოზარდი თაობის საკეთილდღეოთ.

და აი, ამ ორი წლის წინეთ შენ ისევ დაუბრუნდი შენს ნაამაგდარ გიმნაზიას იმ აზრით, რომ მის მკვიდრ საძირკველზედ აგეყვანა ისეთი მკვიდრი კედლები, რომელთაც ვერ შელახავდენ ვერავითარი მოზვირთებული ტალღები, ვერ ჩაახრჩობდნენ ჩვენს ეროვნულს სულს, ჩვენს ეროვნულ განვითარებას.

შეიძლება ჩვენ ყველამ ერთნაირად ვერ შევძელით, ან ვერ მოვახერხეთ ამ დიადი საქმის განხორციელებისათვის მხარში ამოგდგომოდით, მაგრამ ეს შენ გულს როდი გიტეხავდა, ეს შენ როდი გაშინებდა!

შენ ღრმად გწამდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ ან ზეგ ყველანი შენის ხელმძღვანელობით პირნათლად შევძლებდით ამ საეროვნო საქმის გაძღოლას.

დიახ, შენ ეს ღრმათა გწამდა და იშვიათის მხნეობით მუდამ თავს დასტრიალებდი შენს საყვარელს გიმნაზიას, სასოებით შეჰყურებდი ამ სასწავლებლის მომავალს და ამ სასოებას ჩვენც გულში ღრმად გვინერგავდი.

მშვიდობით, ჩვენო კეთილო და ძვირფასო ხელმძღვანელო! ჩვენ, შენი ყველა თანამოსამსახურენი, ერთსულოვნობით გავიმსჭვალებით იმ აზრით, რომ ამ შენს ნაამაგდარ გიმნაზიაში გავაძლიეროთ ის ეროვნული სული, რომლის ფაქიზი და სათუთი სხივები შენს მოღვაწეობას შარავანდედივით მუდამ ეფინებოდა.

მშვიდობით და მშვიდობით, ჩვენო კეთილო ხელმძღვანელო, კარგო ადამიანო!

## დაბა-სოფლები

**კასპი.** 22 იანვარს ს. კასპში შესდგა კრება მომხმარებელ საზოგადოების „განათლებისა“. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ, დიმ. ღოღობერიძემ, რომელმაც დამსწრეთ წინადადება მისცა ამოერჩიათ კრების თავმჯდომარე. კრებამ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბ-ნი ღოღობერიძე. განსახილველი საკითხები იყო: 1) წარსულ 1916 წლის ანგარიშის შესახებ მოხსენება, 2) მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა და 3) არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

წარსული წლის ანგარიშის შესახებ მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: საანგარიშო 7 თვის ვაჭრობის შემდეგ საქონელი კოოპერატივში დარჩენილა 5,694 მან. და 63 კაპეიკის, ქონება 373 მან. და 60 კაპ., ხარჯი გაუწევია 309 მან. 50 კაპ. და დარჩენილა წმინდა მოგება 1,253 მან. და 14 კაპ. საერთო მოგებიდან 193 მან. 63 კაპ. გადაირიცხა სათადარიგო თანხაში. დარჩა გასანაწილებლად 1,059 მან. 51 კაპ. კრებამ დაადგინა: ეს ფული, რომელიც შეადგენს წმინდა მოგებას, მიემატოს ძირითად თანხას. მომავალი წლის მოგების განაწილების თაობაზე კრებამ იქონია მსჯელობა და სასურველად სცნო: 10 პროც. წმინდა მოგებისა მიეცეს მონაწილეებს (პაის პატრონებს), დანარჩენი კი განაწილდეს წევრთა შორის ნავაჭრის რაოდენობის მიხედვით. 1917 წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროს კრებამ საჭიროდ სცნო, თანახმად გამგეობის მოხსენებისა დაქირავება მოანგარიშისა, დახლიდრისა და მისი თანაშემწისა, კასირისა და ზედამხედველისა, რომელთა ჯამაგირების საერთო ხარჯთ-აღრიცხვა წლიურად უდრის 1,680 მ. შემდეგ მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: დ. ღოღობერიძე, არ. დარეჯანაშვილი, ალექსანდრე რატიშვილი, ვიკ. ზუბენკო და ი. ბაინდურაშვილი. მათ კანდიდატებად: დ. ლევინიაშვილი, პ. მელითაური, მ. მერაბაშვილი და გ. მენაბდიშვილი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ: თავადი დავით ლუარსაბისძე ამილახვარი, მიხეილ წერეთლიშვილი და ნ. ქარუმიძე. მათ კანდიდატებად: პ. ჰელაიძე, შ. ფარემუზაშვილი და ა. ტვერდოხლებოვი. ბოლოს კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა ბ-ნ დ. ა. ღოღობერიძეს გულწრფელ და უანგარო მოღვაწეობისათვის. აღსანიშნავია, რომ კასპში კოოპერატივის დაარსების აზრი დ თვით მოწყობაც ეკუთვნის აქაურ სადგურის უფროსს ბ-ნ ღოღობერიძეს, რომელიც იმ თავითვე უანგაროდ ემსახურება სოფლელთა გამოღვიძებისა და ჩარჩთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს.

მორიგი საკითხების განხილვის შემდეგ კრებამ, დასასრულ, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ადგილობრივ სამინისტრო სკოლის მოწაფეთა სკოლის გარედ მეთვალყურეობას სრულებით არ აქვს ყურადღება მიქცეული. კრებამ ამისთვის ერთ-ერთ ზომად აღიარა მზრუნველის დანიშვნა და დაადგინა ეთხოვოს კნეინა ანასტასია რევაზის ასულს ამილახვარისას მიიღოს თავის თავზე ეს საპასუხისმგებლო მოვალეობა. ამასთან კრებამ აღიარა, რომ კნეინა ანასტასია, როგორც სწავლა აღზრდის ფრიად მოტრფიალე და მოსწავლე ნორჩ ახალგაზრდობის გულშემატკივარი, უარს არ იტყვის ამ თხოვნაზეო. სასურველია, რომ კასპელების ყურადღება არ შეჩერდებოდეს მხოლოდ ერთი მზრუნველის ამორჩევაზე და იმის დაგვარად, როგორც ეს იმერეთისა და სხვა კეთილმოწყობილ სკოლებშია მიღებული, შეჰქმნიდეს სკოლასთან ეგრედ წოდებულ სამზრუნველოს.

**წევრთაგანი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში პასუხათ იმ წერილისა, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ ამ იანვრის მე-8 ნომერში იყო დაბეჭდილი—თიანეთიდან და რომელსაც ბ. მთის მოძღვარის ხელი ეწერა. ბ. მ. მ. ამტკიცებს, რომ თიანეთის სამაზრო პოლიციამ არ წარუდგინა ბ. თბილისის გუბერნატორს სიები ჯარში გაწვეული წითელ-ლურჯ ბილეთებიან ფშაველთა და ამით დაარღვია ბ. გუბერნატორის გადაწყვეტილება—ფშავლების ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებისა და მათი მთაზე დაყენებისაო. როგორც ბ. მ. მ. ბრძანებს, შესაძლებელია ფშავლების დეპუტაცია წარუდგა გუბერნატორს და ასეთი თხოვნით მიჰმართა კიდეცა, მაგრამ დღევანდლამდის თიანეთის პოლიციას არავითარი განკარგულება არ მოსვლია ბ. გუბერნატორისაგან ფშავლების ლურჯ-წითელ ბილეთებიანის ომში წასვლიდან განთავისუფლებისა და მათი მთაზე ყარაულად დაყენებისა.

აი საქმე როგორ იყო: ორ ოქტომბერს 1916 წ., ბ. თბილისის გუბერნატორისაგან თიანეთის მაზრის უფროსმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „ლურჯ-ბილეთიანი ხევსურები ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებული არ არიან, მხოლოდ გამოუცხადეთ საჩქაროთ ხევსურთ, რომ დაბარებულნი გამოცხადდნენ ქ. დუშეთში სამაზრო სამხედრო უფროსთან და იმ პირთა სია, რომლებიც გამოცხადდებიან, წარმომიდგინეთ მე, რათა აღვძრა შუამდგომლობა, რომ ის ხევსურნი, ჩემს განკარგულებაში იყვნენ გამოგზავნილნიო“. ამ დეპეშაში სიტყვა „ხევსურები“ სამჯერ იყო გამეორებული, ფშავლებისა კი ხსენებაც არ იყო. აშკარაა, ეს განკარგულება ბ. გუბერნატორისა შეეხება მარტო ხევსურებს და არა ფშაველებს. დეპეშის შინაარსი, რამდენიმე დღის შემდეგ, მე თითითონ გამოვუცხადე ხევსურთ საზოგადო ყრილობაზე ს. ბარისახოში და ამის შემდეგ ჯარში წასულთა ხევსურების სიებიც, თავის დროზედ წარდგენილია სადაც ჯერარს. ბ. მ. მ. ამბობს თავის წერილში:—ფშავლები ორი თვეა რაც წარუდგნენ გუბერნატორს და სთხოვეს, ლურჯ-წითელ ბილეთებიანები ჯარში წასვლისაგან გაეთავისუფლებინათო.

წარსულ წელს საგუბერნიო კომისია ორჯერ იყო თიანეთის მაზრაში:—ზაფხულში სოფელ თიანეთში და ქრისტეშობისთვის 13 ში ს. ახმეტაში, ჯარში გაწვეულთა შესამოწმებლათ, აგრეთვე დუშეთშიაც დაიბარეს ორჯერ თუ სამჯერ; ამის შემდეგ საკვირველია, როგორ ამბობს ბ. მ. მ., რომ ფშავლების შესახებ საგუბერნიო ადმინისტრაციამ არაფერი იცისო? ბ. მ. მ. ეხება იმ გარემოებასაც, რომ ქისტები, ჩვეულებისამებრ, დიდ ზარალს მიაყენებენ ფშავლებს გაზაფხულიდანვეო. ეს ქისტების თარეში, ახალი არ არის, ეხლა კი არ დაიბადა ომიანობის გამო, არამედ უხსოვარ დროიდამ მომეტებული ნაწილი ქისტებისა თითქმის ქურდობით და ცარცვა-გლეჯით ცხოვრობს,—განა როცა ომი არ იყო და ფშავლები შინ იყვნენ, საქონლის ტაციაობა არ იყო ფშავში? თუ ამ ბოროტ-მოქმედებამ ეხლა იმატა და განა მარტო აქ? სხვა მაზრებში ან დიდ ქალაქებში ეხლა უფრო მომეტებული ბოროტ-მოქმედება არა ხდება, ვიდრე ომამდის იყო? ფშავლების მდგომარეობა ამ ჟამათ, არც ისე აუტანელია, როგორც ბ. მ. მ. ცდილობს დაამტკიცოს. ეხლა მთები შეკრულია თიბათვემდის, საქონელიც შირაქში ჰყავთ და ჯერ-ჯერობით—ზაფხულამდის—არავითარი შიში არ მოელისთ. თავის დროზედ თიანეთის სამაზრო ადმინისტრაცია ჯეროვან ღონისძიებას იხმარს ფშავლების დასაცავათ. ამ ჟამათ, ფშავში, წარსული წლის ქრისტეშობისთვიდამ თორმეტი პოლიციის მოხელეა (სტრაჟნიკები).

ფშავ-ხევსურეთის ბოქაული

**ვ. იორამიშვილი.**

## შემოწირულებანი

რედაქციამ ჭანელების სასარგებლოდ ორმოცი (40) მანეთი მიიღო თბ ლისის მე-3 შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისაგან.

---

ქ-ნთ ქსენია და ნინა ხვიჩიებს ასულებმა კეთილ ინებეს და შემოსწირეს ქვალონის ს. უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სამი სურათი აკაკისა, ვაჟა ფშაველასი და მსახიობთ ვლად. ალექსეევ-მესხიშვილის. აგრეთვე გამოუწერეს გაზეთი „საქართველო“ ერთი წლით. დიდ მადლობას მოვახსენებთ.

გამგეობის თავმჯდომარე **გერასიმე ლოლუა.**

---

„ჯეჯილის“ რედაქცია თავის დაუვიწყარ თანამშრომლის განსვენებულ ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძის სახსენებლათ ყოველ წლივ მიაწოდებს ხუთ ღარიბეს სკოლას ჟურნალ „ჯეჯილს“.

---

ბ. იაკობ შევარდნაძემ შემოსწირა ასკანის სამკითხველოს სამი მანეთი, ხოლო ხუთი მანეთი ასკანის საქალებო სასწავლებელში შობის ხის გასამართავათ. მაგრამ, რადგან წელს სხვა და სხვა მიზეზის გამო აღნიშნულ სასწავლებელში შობის ხის გამართვა არ მოხერხდა, თანახმად შემომწირველის სურვილისა, ორ მანეთ ნახევარი გადაეცა ასკ. საქალ. სასწ. ღარიბ მოწაფეთ, ხოლო ამდენივე სავაჟო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთ. შემომწირველს მადლობას ვუძღვნი ასკანის საქალ. 2 კლას. სასწავლებლის სადმრთო სჯულის მასწავლებელი მღვ. **ერმოლაოზ ჯაველიძე.**

## შეცდომათა გასწორება

ჩემს ღია წერილში (იხ. „საქართველო“ № 16) ბ-ნ გრიშა ჟურატაძის მიმართ შეცდომით დაბეჭდილია: „მ 400 მანეთსაც, რომლის გადახდა სასამართლომ მოგისაჯათ ჩემს სასარგებლოთ“. უნდა იყოს: „400 მანეთს, რომელიც დამეხარჯა და ცილისწამებისათვის გიჩივლებთ და გადაგახდევინებთ“ და სხვ.

**ექვთიმე ორაგველიძე.**

---

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო ზანზიაშვილი**

---



## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 | „ დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოიდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

---

## 1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
# „ნაკადულ“-ზე
**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა **ნახატი**

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 **წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 **წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2.

დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—15)

---

## ორშაურიან ფოსტის მარკად

მოთხოვნისათანავე **უფასოდ** გაეგზავნებათ აქაურ ავადმყოფთ **ჟურნალი „სიმრთელის მოამბე“** (Вѣстникъ Здоровія“.)

ჟურნალში გარკვევით, დაწვრილებით და მეცნიერულად უხსნიან **სხვა და სხვა** სენით შეპყრობილთ მნიშვნელობას, წამლობას და შედეგს **სხვა და სხვა სენისას**, როგორც მაგალითად:

**სუსუნატისა, სიფილისისა,** (სხვა და სხვა ფორმებში) **ჭლექისა, სისხლნაკლებობისა, საერთოდ სქესობრივის უძლურებისა**

და სხ. ავადმყოფობისას.

ვისაც სურს დაბარება ან პირადად მიღება ამ ჟურნალისა, უნდა მიჰმართოს მხოლოდ: **თბილისში,** ლორის მელიქოვის ქ № 16, განყოფ. 6, სახელმწიფო ბანკის ახლო - პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას (Тифлисское отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторіи. Тифлисъ, Лорись-Меликовская ул. № 16, отд. 6. (Близъ Государственнаго банка).

(30—491—3)

---

## თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზმით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მუშოჩნი“** ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები **რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.**



ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. ქაანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4